

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი №23

თბილისი

11.12.2019

სხდომას ესწრებოდნენ:

*უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო)
წევრები:*

მარიამ დარბაიძე - სსიპ - დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის
აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე - საბჭოს თავმჯდომარე;
ნინო ხოლუაშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბიზნესტექნოლოგიების
ფაკულტეტის დოქტორანტი - საბჭოს მდივანი;
ლევან იმნაიშვილი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და
მართვის სისტემების ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის დეპარტამენტის უფროსი,
პროფესორი;
აკაკი ხელაძე - შპს - საქართველოს ბანკის სასწავლო უნივერსიტეტის" რექტორი;
ქეთევან ცხადაძე - შპს "თბილისის ღია სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის სკოლის" დეკანი,
პროფესორი;
რამაზ საყვარელიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიის
დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი;
მარინა გედევანიშვილი - შპს "კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის" ხარისხის
უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ასოცირებული პროფესორი;
დალი კანდელაკი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი,
საუნივერსიტეტო საბჭოს აპარატის უფროსი;
კონსტანტინე სირბილაძე - სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი;
გიორგი გვალია - სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების
ფაკულტეტის პროფესორი;
გიორგი აბრამიშვილი - ა(ა)იპ - საქართველოს შემოქმედებითი კავშირ საქართველოს საინჟინრო
აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი;
ირაკლი ხვთისიაშვილი - ა(ა)იპ - ასოციაცია STAB-ის დირექტორი, გამგეობის წევრი.

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი)
წარმომადგენლები:*

ეკატერინე ბაღიშვილი - დირექტორის მოადგილე;
გაბა გვენეტაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი;
თეონა ჟუჟუნაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის
სპეციალისტი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯი;
ნათია გოცაძე - რექტორი/დამფუძნებელი;
გიორგი სუპატაშვილი - მრჩეველი ფინანსურ საკითხებში/დამფუძნებელი;



გიორგი ჭანტურია - კანცლერი;
მურთაზ კვირკვია - ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;
მაკო ჯაოშვილი - ვიცე რექტორი/ საზოგადოებასთან ურთიერთობის და სტრატეგიული კომუნიკაციების პროგრამების ხელმძღვანელი;
ნათია კალანდარიშვილი - მრჩეველი სტრატეგიული განვითარების საკითხებში;
ეკატერინე ბაკარაძე - დეკანი/საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის ხელმძღვანელი;
ვახტანგ ზაალიშვილი - სამართალმცოდნეობის პროგრამის ხელმძღვანელი;
ვახტანგ ჟვანია - სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი;
ნინო ხიდიშელი - კვლევითი საქმიანობის ცენტრის ხელმძღვანელი;
ალექსანდრე გაბუნია - აფილირებული ასოცირებული პროფესორი;
ნინო არჯევნიშვილი - იურიდიული სამსახურის ხელმძღვანელი.

შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი:

თამარ გვიანიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
მაია ნონიაშვილი - ადმინისტრაციის ხელმძღვანელი;
ელენე მამუკელაშვილი - ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

სალომე კუჭუხიძე;
ნუცა ჯმუხაძე;
ნინო ლაღანიძე;
გოდერძი ბუჩაშვილი;
დავით სიხარულიძე;
ნინო ბერიშვილი;
ანა მიხელიძე.

სხვა დამსწრე პირები

ქრისტინე გაბისონია - სტენოგრაფისტი;
არჩილ დადიანი;
დავით მახვილაძე.

საბჭოს სხდომა დაიწყო 15:19 საათზე. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, სხდომას უხელმძღვანელა საბჭოს თავმჯდომარემ, მარიამ დარბაიძემ. საბჭოს თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ იყო უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი

1. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ, საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა. შუამდგომლობა წარდგენილი არ იქნა. შესაბამისად, საბჭომ ერთხმად დაამტკიცა წარმოდგენილი სხდომის დღის წესრიგი.



1. შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს წევრმა ირაკლი ხვთისიაშვილმა თვითაცილება გამოაცხადა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ საავტორიზაციო განაცხადს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რომ დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია, ძირითადი რეკომენდაციები და მიგნებები. ექსპერტებმა საბჭოს წინაშე წარადგინა რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია სტრატეგიული გეგმის პირველი მიზნის (საზოგადოების ინფორმირებისა და ნდობის გაზრდა) ხარისხის კონტროლი (სტრატეგიული განვითარების გეგმა 2019-2026 წელი), ასევე სასწავლო ელემენტების შემუშავების (სემინარები, კურსები, ლექციები), სწავლის შედეგების შეფასების, აკადემიური მოსწრების შესახებ უკუკავშირის ოპერაციონალიზაცია. ამასთანავე, მე-4 მიზნის გათვალისწინებით (სტუდენტების თვითრეალიზაციის ხელშეწყობა), ჩვენ რეკომენდაციას ვიძლევიტ შემუშავდეს მეთოდი და სისტემა მე-3 მიზნის (თვითრეალიზაცია) მიღწევის პროცესის დასაფიქსირებლად.
- მიზანშეწონილია, რომ რექტორის უფლებამოსილება შეიზღუდოს და გადაწყვეტილების მიღება ხდებოდეს აკადემიური საბჭოს მინიმუმ 2/3 უმრავლესობით. ამასთანავე, არ უნდა შეიცვალოს აკადემიური საბჭოს, როგორც საკონსულტაციო ორგანოს სტატუსი.
- მიზანშეწონილია სტრატეგიული კომუნიკაციის სამაგისტრო პროგრამის სასწავლო გეგმის შემუშავება განხორციელდეს ისე, რომ ცხადად ჩანდეს როგორ განვითარებს კომპეტენციებს სტუდენტი საჭირო კურსების ლოგიკური მიმდინარეობის პროცესში.
- საჭიროა მოხდეს პერსონალის განვითარების სამიზნე ნიშნულების შემუშავება და გაიწეროს მათი მიღწევის მექანიზმები.

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე skype-ით ჩაერთო ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე ვოლკერ ლინნევებერი. საბჭოს თავმჯდომარემ მარიამ დარბაიძემ მიმართა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს და სთხოვა დაეფიქსირებინა მისი პოზიცია პირველ და მეშვიდე სტანდარტთან დაკავშირებით. რადგან ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს შეფასებული ჰქონდა ეს ორი სტანდარტი.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე მიესალმა ექსპერტებს, საბჭოს წევრებსა და უნივერსიტეტის წარმომადგენლებს. უნივერსიტეტის შეფასებისას მან აღნიშნა, რომ მისი ინფორმაციით, აღნიშნული უნივერსიტეტი ადრე იყო პიარ აკადემია, რომელიც გარკვეული წლების განმავლობაში ფუნქციონირებდა ძალიან წარმატებულად, ჰქონდა განხორციელებული სხვადასხვა აქტივობები და წარმატებული პროცესის შემდეგ დამფუძნებლებს გაუჩნდათ იდეა,



რომ დაეარსებინათ ბიზნესის, მართვისა და კომუნიკაციების უნივერსიტეტი, რაც აღნიშნული პიარ აკადემიის ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა. ექსპერტის თქმით, ამ პროცესის შედეგად ჩამოყალიბდა 3 საგანმანათლებლო პროგრამა, 2 - საბაკალავრო საგანმანათლებლო და 1 - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა. ამის შემდეგ ექსპერტმა შეაფასა უნივერსიტეტის მისია და თქვა, რომ მისია იყო კარგად ჩამოყალიბებული და ორიენტირებული ბაზარზე და სტუდენტებზე. მისი მოსაზრებით, დაწესებულების კარგი პრაქტიკა (Good practice) იყო ის, რომ ისინი ორიენტირებულნი იყვნენ მიზანზე და მიზნის განხორციელების პროცესში ატარებდნენ ხარისხის კონტროლს.

რაც შეეხება მე - 7 სტანდარტს, ექსპერტის განმარტებით, დაწესებულებას ჰქონდა თანამედროვე, უახლესი მატერიალური რესურსებით აღჭურვილი ახალი შენობა, საიდანაც 2 სართული გამოიყენებოდა უნივერსიტეტისთვის და საკმისად 400 სტუდენტის სრულფასოვნად სწავლისთვის. მან აღნიშნა, რომ ამ შენობაში უნივერსიტეტს ჰქონდა გაქირავებული ფართიც, თუმცა მისი აზრით აღნიშნული გარემოება არ შექმნიდა პრობლემას სწავლების პროცესში. ამავდროულად, ექსპერტის აზრით, არსებობდა ერთი რისკი, რომელიც გასათვალისწინებელი იყო. ექსპერტმა დასძინა, რომ არ იცოდა ეს რისკი მაღალი იყო თუ დაბალი, რადგან ეს ეხებოდა სტუდენტების მიღებას. თუ უნივერსიტეტი თავიდან ვერ მიიღებდა იმდენ სტუდენტს რამდენიც ჰქონდათ გათვლილი მათ შეიძლება შექმნოდათ ფინანსური პრობლემები, მაგრამ ამავდროულად უნივერსიტეტს ჰქონდა გათვლილი გეგმა თუ როგორ მოეხიდათ სტუდენტები. ასევე, ჰქონდათ საბანკო გარანტია, რომლის გამოყენებაც შეეძლოთ საჭიროების შემთხვევაში.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარეს დაეზუსტებინა მისი პოზიცია 1.2 ქვესტანდარტთან მიმართებით, რომელიც შეფასებულია როგორც მეტწილად შესაბამისი და რეკომენდაციად დაფიქსირებულია მე - 3 და მე - 4 მიზნის განსახორციელებლად პროცედურების შემუშავებასთან დაკავშირებით. გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულებას ჯერ ფუნქციონირება არ ჰქონდა დაწყებული საბჭოს თავმჯდომარისთვის ბუნდოვანი იყო რას გულისხმობდა ექსპერტი განსახორციელებელ სამუშაოებში. ექსპერტმა საბჭოს თავმჯდომარეს უპასუხა, რომ 1.2 ქვესტანდარტი მას შეფასებული ჰქონდა, როგორც სრულად შესაბამისი და არ ჰქონდა გაცემული რეკომენდაცია ამ ქვეკომპონენტთან მიმართებით და საბოლოო დასკვნაში ეს ჩანაწერი შესაძლოა ყოფილიყო ტექნიკური ხარვეზი. მან ასევე აღნიშნა, რომ რეკომენდაცია რომელიც საბჭოს თავმჯდომარემ წაიკითხა გაცემულია მესამე სტანდარტთან მიმართებით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ დაამატა, რომ მისი რეკომენდაცია უნივერსიტეტისადმი იყო ის რომ როდესაც უნივერსიტეტი დაიწყებდა ფუნქციონირებას მკაფიო საზღვრები ყოფილიყო გავლებული პიარ აკადემიასა და უწყვეტი განათლების ცენტრს შორის. პოზიციების შეჯერების შემდეგ საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება 1.2 ქვესტანდარტი შეეცვალათ და ეს ქვეკომპონენტი გამხდარიყო სრულად შესაბამისი.

საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა რა იყო უნივერსიტეტის მთავარი კომერციული ნიშანი, რაზეც უნივერსიტეტის რექტორმა, ნათია გოცაძემ უპასუხა, რომ მათი კომერციული ნიშანი და ბრენდის განსხვავებულობა იყო საგანმანათლებლო და დასაქმების ბაზარს შორის ურთიერთკავშირი. მეთოდოლოგია, რომელსაც ეფუძნებოდა პიროვნული და კარიერული თვითრეალიზების ახალი შესაძლებლობებს და რომელიც მომდინარეობდა პიარ აკადემიის მისიიდან და ხედვიდან უნივერსიტეტი დანერგავდა სასწავლო პროცესში. რექტორმა დაამატა, რომ პიარ აკადემიას დააგროვილი ჰქონდა გამოცდილება და ხარისხი საგანმანათლებლო სივრცეში და ამის ლოგიკური გაგრძელება იქნებოდა ის, რომ შეიქმნებოდა უნივერსიტეტი. შესაბამისად, უნივერსიტეტს ჰქონდა განსხვავებული ნიშა, რომელიც იყო ძალიან

მოთხოვნადი ბაზარზე და ეფუძნებოდა ყველა სფეროში კომუნიკაციის საჭიროებას. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მათ ჰქონდათ პერსონალის გადამზადების დიდი გამოცდილება საჯარო და კომერციულ სტრუქტურებში, სადაც პრობლემა იყო სამუშაო გარემოსთან ადაპტირება და საკომუნიკაციო უნარ - ჩვევების გაღრმავება. მისი თქმით, მათ ჰქონდათ საჯარო მოხელეების პროფესიული უნარ - ჩვევების გადამზადების გამოცდილება საკომუნიკაციო მიმართულებით, ხოლო ბაზრის კვლევებმა მათ მისცა საფუძველი ის გამოცდილება, რომელიც გულისხმობდა ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის ამაღლებას, კომუნიკაციას, სამუშაო გარემოში ადაპტირებას და ამ უნარების ინტეგრირებას უმაღლესი განათლების სივრცეში შეექმნათ განსხვავებული ნიშა საგანმანათლებლო ბაზარზე. რექტორის განმარტებით, მათ შეგნებულად აირჩიეს კომუნიკაციის მიმართულება, საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამა, სტრატეგიული კომუნიკაციების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა. რადგან დღეს ნებისმიერ მიმართულებაში ძალიან მნიშვნელოვანი იყო კომუნიკაციის უნარების წინ წამოწევა. რექტორმა დიდი მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის.

საბჭოს წევრი დალი კანდელაკი დაინტერესდა რა სახის მომსახურებას უწევდა პიარ აკადემიას საქართველოს პარლამენტს და ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია გოცაძემ საბჭოს წევრს განუმარტა, რომ პიარ აკადემიაში ორივე უწყება აგზავნიდა იმ თანამშრომლებს, რომლებსაც სჭირდებოდათ კონკრეტულ მიმართულებებში გადამზადება. მათ გადაამზადეს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრის თანამშრომლები საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით, გაიარეს გრძელვადიანი პროგრამა, რომელიც დაკომპლექტებულია იმ სფეროებთან მიმართებით რაც სჭირდებოდა საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტს. რაც შეეხება პარლამენტს, ისინი თანამშრომლობენ უკვე მე-3 წელია დეპუტატების გადამზადების პროგრამებით: დემოკრატიული ინსტიტუტების, დონორი ორგანიზაციების მიერ საქართველოში ხელისუფლების გამდიერების ტრენინგებით, აპარატის თანამშრომლების, დეპარტამენტის თანამშრომლების გადამზადება საკომუნიკაციო და საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით. ასევე, მათ ჰქონდათ ინტენსიური მუშაობა პარლამენტის ტრენინგ ცენტრთან, რომელსაც გაუზიარეს გამოცდილება უკვე არსებული ტრენინგ ცენტრის სისტემის და სტრუქტურის აწყობის მიმართულებით, შეიქმნა პარლამენტის სასწავლო ცენტრის განვითარების სტრატეგია და უშუალოდ მისი ჩართულობით მოხდა სტრატეგიული ფუნქციების გუნდზე გადანაწილება: კომპეტენციების დადგენა, რამდენად იყო შესაძლებელი გეგმის იმ ვადებში იმ რესურსით შესრულება. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მათ მჭიდრო კავშირი ჰქონდათ ფრაქციებთანაც, ქალთა გამდიერების კუთხით, რომელიც დღესდღეობით ძალიან საჭირო მიმართულებაა.

საბჭოს წევრმა დალი კანდელაკმა აღნიშნა, რომ როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმას მონიტორინგს უწევდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ის დაინტერესდა რატომ უწევდა მონიტორინგს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, როდესაც ამ დოკუმენტების შემუშავებაში ის თავად იღებდა მონაწილეობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა მურთაზ კვირკვამ აღნიშნა, რომ მსგავსი შეკითხვა ჰქონდათ ექსპერტებსაც, უნივერსიტეტის დამოკიდებულება იმ საქმიანობის მიმართ, რის განხორციელებასაც ის აპირებდა ჩანდა იმ ფაქტიდანაც, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს მართვის მაღალი იერარქია ეკავა მისი უფლებებითა და ფუნქციებით. მისი განმარტებით, ხარისხის მართვის სამსახური იღებდა

სხვადასხვა სამსახურებიდან სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებს, ანალიზებდა ამ ანგარიშებს, წარუდგენდა აკადემიურ საბჭოს, რომლის შემდეგადაც ხდებოდა უკუკავშირი იმ სამსახურებიდან, რომელსაც ევალუბოდა ანგარიშების შესრულება. ამ თვალსაზრისით ხარისხის მართვა ძირითად როლს ასრულებდა, თუმცა მონიტორინგი ხდებოდა არა მხოლოდ ხარისხის სამსახურის მიერ არამედ აკადემიური საბჭოს მიერ, რომელიც ყველაფერს აანალიზებდა და იღებდა გადაწყვეტილებას.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რა სიხშირით გეგმავდნენ დაწესებულების წარმომადგენლები სტრატეგიული განვითარების მონიტორინგს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა, მურთაზ კვირკველიამ უპასუხა, რომ თვითონ სამსახურებს ჰქონდათ სტრატეგიული გეგმიდან გამომდინარე საკუთარი განვითარების გეგმები, რის საფუძველზეც ხდებოდა გაკონტროლება. მისი თქმით, უნივერსიტეტი მუშა პროცესში იყო ვინაიდან დაიწყო 3 საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხები, რომელიც გარკვეულწილად სტრატეგიის შემადგენელი ნაწილი იყო. დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, მოხდებოდა ხარისხის ყოველ სემესტრული შემოწმება. გარდა ამისა, მართვის სისტემაში მოცემული იყო ის, რომ თუნდაც 3 წლიანი გეგმის მკაცრად განხორციელება შეუძლებელია, შესაბამისად, მონიტორინგი არ იქნებოდა სტატიკური და დოგმატური, ის იქნებოდა ცვალებადი გარემოსთან მიმართებით.

საბჭოს წევრმა გიორგი გვალიამ აღნიშნა, რომ პიარ აკადემია წარმატებით მოღვაწეობდა არაფორმალური განათლების სივრცეში. ის დაინტერესდა რა დამატებითი ღირებულების მომტანი იქნებოდა შპს მართვისა და კომუნიკაციების საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ქართული უმაღლესი განათლების სისტემისთვის.

უნივერსიტეტის რექტორმა ნათია გოცაძემ საბჭოს წევრს უპასუხა, რომ უმაღლესი სასწავლებლის შექმნის საფუძველი გახდა ის ღირებულება, რაზეც მან წინა კომენტარის დროს გააკეთა აქცენტი. პიარ აკადემია თავის საქმიანობას უკვე 7 წელია ახორციელებდა, ისინი მუდმივად აწყდებოდნენ იმ პრობლემას, რაც იქმნებოდა დასაქმების ბაზარზე, რის გამოც შემდეგ დასაქმებულებს უწევდათ პერსონალის გადამზადება, რომელიც გაცილებით დიდ დანახარჯებთან და რესურსთან იყო დაკავშირებული. გამომდინარე აქედან, მათ გაუჩნდათ იდეა უმაღლეს საგანმანათლებლო ბაზარზე შეექმნათ კიდევ ერთი კერა, რომელიც უზრუნველყოფდა საწყის ეტაპზე იმ შესაძლებლობის შექმნას, რომ მოზარდებმა ადაპტირება მოახდინოს შრომის ბაზარზე. რექტორის განმარტებით, მათი გამოცდილება დაეხმარებოდათ შეექმნათ კიდევ ერთი რესურსი, რომ განხორციელებულიყო სახელმწიფო განათლებისა და მეცნიერების სტრატეგია, რომლის მიხედვითაც, უმაღლესი განათლება უნდა იძლეოდეს დასაქმების საშუალებას. მისი აზრით, სწორედ პიარ აკადემიის გამოცდილება იქნებოდა ის ღირებულება, რომელიც მისცემდა მათ საშუალებას შექმნან დასაქმების ახალი შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მურთაზ კვირკველიამ დაამატა, რომ პიარ აკადემიის გამოცდილების ანალიზით, ამ ორგანიზაციამ იპოვა გასაღები იმ პრობლემის, რომელიც იყო შრომის ბაზარზე, ეს იყო პირდაპირი კავშირი დამსაქმებლებთან. რაც შეეხება კადრების დაწინაურებას, ახლის მოძიებას პიარ აკადემიის გამოცდილება იყო კარგი საფუძველი მოხდეს ანალოგიური სისტემის გადმოტანა უმაღლესი განათლების სისტემაში. მან აღნიშნა, რომ ამ გარემოებაზე ისაუბრეს უცხოელ ექსპერტთანაც და მათ დაასკვნეს, რომ არსებობდა ამ სტრატეგიის რეალურად განხორციელების შესაძლებლობა. მურთაზ კვირკველიამ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, იმისათვის, რომ ექსპერტებმა გასცეს რეკომენდაციები სტრატეგიული

გეგმის მიმართულებით, ისინი ჩავიდნენ სიღრმეებში და ლიტერატურის დონეზეც კი ჰქონდათ რჩევები და რეკომენდაციები, რაც იშვიათია დასკვნებში და რაც შედეგიანი აღმოჩნდა უნივერსიტეტისთვის.

საბჭოს წევრმა გიორგი გვალიამ აღნიშნა, რომ პიარ აკადემიის გამოცდილებას მიესალმება, თუმცა ამგვარი გამოცდილებების დროს იყო ერთგვარი დუბლირების რისკი იმ საქმიანობის, რასაც ისინი სხვა სიბრტყეში ახორციელებდნენ. მისი განმარტებით, უნივერსიტეტსა და ტრენინგ ცენტრს შორის არის დიდი განსხვავება, ტრენინგ ცენტრის ამოცანაა სპეციფიური უნარების განვითარება, უნივერსიტეტის კი ახალი სიღრმისეული ცოდნის შექმნა, მისი გადაცემა, განსხვავებაა ლიტერატურის, სასწავლო კურსების დონეზეც. შესაბამისად, მკაფიო დიფერენცირება იყო საჭირო.

უნივერსიტეტის რექტორმა ნათია გოცაძემ საბჭოს წევრს უპასუხა, რომ მათთვის ერთგვარი დილემა იყო ახალ აკადემიურ სფეროში გადასვლა, მისი თქმით, პიარ აკადემიის საქმიანობა არ იყო მხოლოდ უნარ - ჩვევებზე ორიენტირებული, ის იყო ორიენტირებული ახალი ცოდნის გადაცემაზეც, ის შეიქმნა იმისათვის, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სფერო ყოფილიყო საქართველოში უფრო განვითარებული, იმიტომ რომ ეს იყო ერთ - ერთი მოთხოვნადი სფერო მსოფლიოს მასშტაბით. პიარ აკადემია იყო საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტის სტანდარტების ინიციატორი. სტანდარტები შემუშავდა მათ ბაზაზე და ამ პერიოდის განმავლობაში იქმნებოდა სახელმძღვანელოები, სასწავლო პროგრამები, ატარებდნენ საზოგადოებრივი აზრის კვლევებს, შრომის ბაზრისა და ორგანიზაციულ კვლევებს. რექტორის თქმით, კვლევა, რომელიც თითქმის ყველა რეფორმასთან მიმართებით ტარდებოდა პიარ აკადემიის ბაზაზე იყო მოქალაქეების ინფორმირებულობის კვლევა რიგ საკითხებთან მიმართებაში, რომელიც კიდევ ერთხელ ცხადყოფს იმ პრობლემას, რომელიც დღეს იყო. უკუკავშირი საზოგადოებასა და სახელმწიფო უწყებებს შორის მოითხოვდა გაცილებით მეტ ცოდნას, მეტ კომპეტენციას.

რექტორის განმარტებით, კვლევები დაწყებული იყო და გრძელდებოდა, ისინი ჩართულნი იყვნენ რამდენიმე საერთაშორისო პროგრამაში და მათი ერთ - ერთი მკვლევარი უკვე დაიწყო არაფორმალური გავლენისა და ინოვაციური სასწავლო მეთოდების პრაქტიკაში გამოყენების საუკეთესო პრაქტიკის შესწავლას ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში ანუ პრაქტიკული, გამოყენებითი კვლევები აქტიურად ჰქონდათ დაწყებული. ასევე, არსებობდა საზოგადოებასთან ურთიერთობის მიმართულებით რამდენიმე სახელმძღვანელო, ღონისძიების მიმართულებით სახელმძღვანელოც, რომელიც მათი გუნდის მიერ იყო შექმნილი და რომელიც ძალიან კარგი რესურსი იქნებოდა აკადემიურ სივრცეში. რექტორის თქმით, საჯარო რეფორმის ფარგლებში უშუალოდ მის მიერ იყო შემუშავებული პრაქტიკული სახელმძღვანელო, რომელიც გულისხმობდა საჯარო მოხელის კომუნიკაციის და გუნდური მუშაობის უნარ - ჩვევების ამაღლებას. იმიტომ რექტორის თქმით აღნიშნული გამოცდილება უნივერსიტეტისთვის იქნებოდა მნიშვნელოვანი.

საბჭოს წევრმა ლევან იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ მან როგორც ტექნოკრატმა უნივერსიტეტის დასახელება სულ სხვაგვარად აღიქვა, სანამ უშუალოდ დოკუმენტაცია არ წაიკითხა. მისი თქმით, მართვა და მენეჯმენტი ერთი და იგივე არ იყო და უმჯობესი იქნებოდა ყოფილიყო მენეჯმენტი, რადგან მართვა მოიცავდა ტექნიკურ სისტემებსაც, ასევე, განსხვავებული იყო სახელწოდების ინგლისური და ქართული ვერსიები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მურთაზ კვირკველიამ საბჭოს წევრს უპასუხა, რომ მართვა და მენეჯმენტის განმარტების ტერმინოლოგიურ დონეზე დღესაც დაობდნენ დიდი მეცნიერები, თუმცა მისი შენიშვნა საყურადღებო იყო.

საბჭოს წევრმა ლევან იმნაიშვილმა განმარტა, რომ მართვა გულისხმობდა მენეჯმენტსაც და ტექნიკური სისტემების მართვასაც. რაც შეეხება კომუნიკაციებს, კვალიფიკაციის ჩარჩოში ჰქონდათ აიტი და კომუნიკაციები, ესეც ასოცირდებოდა ტექნიკურ სისტემებთან. მისი თქმით, აბიტურიენტის ასოცირებაც იქნებოდა ტექნოლოგიებთან. საბჭოს წევრმა ასევე, აღნიშნა მისიასთან დაკავშირებით, რომ ის ზოგადი და ბუნდოვანი იყო, ეწერა, რომ ქმნიდა კვლევისა და ცოდნის მიღების ხელმისაწვდომ პირობებს, სადაც ჯერ ეწერა კვლევა და შემდეგ ცოდნა. მისი თქმით, თუ უნივერსიტეტი სასწავლოა წესით პირიქით უნდა იყოს.

საბჭოს წევრმა რამაზ საყვარელიძემ დაამატა, რომ პიარი ფსიქოლოგიის გარეშე მეცნიერების გარეშეა. ის დაინტერესდა რა მდგომარეობაში იყო დაწესებულებაში ფსიქოლოგიის სწავლება, რა სახით იყო მიტანილი პროდუქცია სტუდენტებამდე და რამდენად იყვნენ ისინი დიზაინის ხაზის გარდა მეცნიერებით მომუშავე ადამიანები, რადგან პიარი ორივეს უნდა მოიცავდეს.

საბჭოს თავმჯდომარემაც დაამატა, რომ დაწესებულება ალბათ მოიაზრებდა ფსიქოლოგიის მიმართულებების კვლევებს და არა სამეცნიერო სადოქტორო კვლევებს. რაც შეეხება ლევან იმნაიშვილის შეკითხვას საბჭოს თავმჯდომარე დაეთანხმა დაწესებულებას, რომ მენეჯმენტი და მართვა სადაო საკითხია და დაწესებულების სახელწოდებას არ შეჰყავდა შეცდომაში სტუდენტი, რომელიც თუ ანკეტა - კითხვარში ჩახედავს ძალიან კარგად მიხვდებოდა რაზე იყო საუბარი. თუმცა მისი თქმით, თუ სამომავლოდ დაამატებდნენ საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და ფსიქოლოგიის პროგრამებს ეს ძალიან კარგი იქნებოდა.

უნივერსიტეტის რექტორმა ნათია გოცაძემ გააკეთა განმარტება, რომ სახელწოდება იყო მართვისა და კომუნიკაციის და არა კომუნიკაციების. ისინი მუშაობენ იმ მიმართულებებზე რაც ადამიანებისთვის მარტივ რადაცეებს საერთოს ხდის, ეს იყო მათ პროგრამაში ჩადებული, კომუნიკაციის ფსიქოლოგია იყო ყველა საგანმანათლებლო პროგრამის თანმდევი. საზოგადოებასთან ურთიერთობა იყო პროცესი, რომელიც ემყარება პრაქტიკულ მეცნიერებებს, მათ შორის ფსიქოლოგიას, რომელიც ინტეგრირებულია ყველა საგანმანათლებლო პროგრამაში. რექტორის თქმით, ისინი მართლაც გამოყენებით კვლევებს გულისხმობენ და არა მეცნიერულ კვლევებს, რომელიც მათ მისცემდა საშუალებას შექმნან რეალურ სურათზე დაყრდნობილი რეალური ცოდნა, სწორედ ამიტომ იყო აღნიშნული ჯერ კვლევა და მერე ცოდნა. მან მოიყვანა მაგალითი, რომელიც მენეჯმენტის გრძელვადიანი პროგრამის ფარგლებში ჩატარდა, პროექტის ავტორი აწარმოებდა სამუშაო სტრესის კვლევას ერთ - ერთ ორგანიზაციაში. გამომდინარე იქიდან, რომ მსხვილ ორგანიზაციებში სამუშაო სტრესი ძალიან მაღალია, თუმცა ორგანიზაციული კვლევები, რომელიც ადამიანური რესურსების დეპარტამენტები ატარებენ, ცხადყოფს, რომ კმაყოფილება იყო იმხელა, რომ სტრესი რჩება კულტურულ საუბრებში. მათ მოიფიქრეს განეხორციელებინათ, სპილბერგის შფოთვის რეაქტიული და პიროვნული კვლევა ორგანიზაციაში, სადაც კმაყოფილების კვლევის საზომი იყო - 96. რეაქტიული შფოთვის შკალა - 98 %, პიროვნული შფოთვის შკალა - 92%, ანუ, მისი თქმით, ფსიქოლოგიის ჩართვამ აჩვენა რეალური სურათი, რომ ერთმანეთთან კორელაციაში იყო სტრესი და შფოთვა.

საბჭოს წევრმა ლევან იმნაიშვილმა ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს სასწავლო პროცესის დაწყების შემდეგ რა საინფორმაციო სისტემები ექნებოდათ და როგორ გამოიყენებენ



მას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა, მურთაზ კვირკველიამ უპასუხა, რომ ადგილზე არ იმყოფებოდნენ სპეციალისტები, რომლებიც საინფორმაციო მიმართულებით უნივერსიტეტთან თანამშრომლობდნენ, თუმცა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული ჰქონდა PLMN სისტემა, რომელიც იქნებოდა გამოყენებული სასწავლო პროცესის მართვაში და რომელიც იყო საუკეთესო გამოცდილების ერთგვარი ნაკრები, რაც ჩვენს გარემოში არსებობდა. აღნიშნული პროგრამა: დაარეგისტრირებდა სტუდენტებს, მოხდებოდა მასალების მიწოდება, იქნებოდა უკუკავშირი ლექტორსა და სტუდენტებს შორის.

რექტორმა, ნათია გოცაძემ დაამატა, რომ ხანგრძლივი შერჩევის პროცესის შემდეგ მათ შეიძინეს PLMN სისტემა, რადგან მათ მიიღეს სხვადასხვა რჩევები იმ სპეციალისტებისგან, რომლებიც ახორციელებდნენ სხვადასხვა უნივერსიტეტებში მსგავსადი ტიპის საქმიანობას. მისი თქმით, სისტემა იყო ძალიან მოქნილი, ჰქონდა ბევრი ფუნქცია და იყო აპრობირებული ევროპულ უნივერსიტეტებში. რექტორის განმარტებით, სტრატეგიული გეგმა იყო ცოცხალი ორგანიზმი, ჰქონდათ რამდენიმე თვე, რომ მომზადებულიყვნენ სასწავლო პროცესისთვის და ამ ყველაფრის დატესტვა უნდოდათ უშუალოდ სატრენინგო სისტემებში, თუ რამდენად მუშა და მოქნილი იყო ის და ამაში ჩართული ჰყავდათ აკადემიური პერსონალიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მურთაზ კვირკველიამ დაამატა, რომ სისტემაში არა მხოლოდ ინფორმატიკის სპეციალისტები მონაწილეობდნენ არამედ სასწავლო პროცესებში ჩართული პერსონალიც. აღნიშნული სისტემა ძალიან ჰგავდათ ნებრასკას უნივერსიტეტის (University of Nebraska) სისტემას.

საბჭოს წევრმა ლევან იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ ახალი უნივერსიტეტების უპირატესობა, ტრადიციულ უნივერსიტეტებთან შედარებით იყო ის, რომ მას შეუძლია აპრობირებული მეთოდი მოირგოს, რასაც დაწესებულების წარმომადგენელიც დაეთანხმა და დაამატა, რომ ისინი რაც საავტორიზაციო პერიოდი დაიწყო, ახორციელებდნენ საუკეთესო პრაქტიკის შესწავლას. შესაბამისად, დოკუმენტაცია, სტრატეგიული გეგმა შეიქმნა სიღრმისეული კვლევის შედეგად, ეს იყო საქართველოსა და ევროპის ბაზარზე წამყვანი უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკების სინთეზით მიღებული თვითშეფასების დოკუმენტი.

საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მე - 2 სტანდარტის მიგნებები.

ექსპერტმა, სალომე კუჭუხიძემ პირველ რიგში აღნიშნა, რომ ვიზიტიდან წამოვიდნენ ძალიან დადებითი ემოციით დამუხტულები, რადგან დახვდათ ჯანსაღი და თანამედროვე გარემო, მათთვის რთული იყო ექსპერტობა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, რადგან მოუწიათ 90% ფურცლების შეფასება და არა პრაქტიკის, რადგან უნივერსიტეტი დღეს არ არსებობდა, ისინი არ შეეხნენ პიარ აკადემიას, რომლის გამოცდილებაზეც იყო აპელირება თუმცა ამ შემთხვევაში ექსპერტებმა მისაღებად არ ჩათვალეს ეს ინფორმაცია. მეორეს მხრივ, მან დააფიქსირა თავისი მოსაზრება, რომ უნივერსიტეტში რაც დღეს არ არსებობდა მისთვის მინუსი არ იყო, ეს არ ჩათვალა მის ნაკლად, რადგან ის არ არსებობდა არა იმიტომ, რომ უნივერსიტეტს არ გაუკეთებია, არამედ იმიტომ, რომ უნივერსიტეტი ჯერ არ ფუნქციონირებდა.

რაც შეეხება სტრუქტურას, 2.1 ქვესტანდარტს, უნივერსიტეტს ჰქონდა კლასიკური სტრუქტურა, ისეთი, როგორიც არსებულ უნივერსიტეტებს ბაზარზე, დოკუმენტაციის დონეზე მოცემული ინფორმაცია მისთვის იყო მისაღები და ფიქრობდა, რომ არსებული რესურსით და სურვილით ის აუცილებლად იმუშავებდა. რეკომენდაციას რაც შეეხება, ის გაიცა აკადემიური საბჭოს

გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით, რომელსაც იღებდა მისი თავმჯდომარე, რომელიც იყო ასევე, დამფუძნებელი. გამომდინარე იქიდან, რომ ამან შეიძლება გარკვეული წლების შემდეგ შეკითხვები გაეჩინა, აკადემიურ საბჭოს უნდა ჰქონოდა ერთპიროვნული გადაწყვეტილების შეზღუდვის ძალაუფლება. ამიტომ, რეკომენდირებული იყო გადაწყვეტილება მიიღებოდა აკადემიური საბჭოს საერთო წევრთა 2/3 ნაწილით.

საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა ვიზიტისას როგორ იყო ეს პროცედურა მოწყობილი, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ დოკუმენტალურად არ იყო შეზღუდული აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება კი სარეკომენდაციო ხასიათის იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულება იყო შპს, ჰქონდათ სტრუქტურის განსაზღვრის თავისუფლება, იმ ნაწილში დაეთანხმა, რომ დამფუძნებელი, რექტორი და აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ერთი და იგივე ადამიანი არ უნდა იყოს, თუმცა აკადემიური საბჭო იყო სარეკომენდაციო, ხოლო თავმჯდომარე ამტკიცებდა მას, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ თუ წინააღმდეგობაში მოვიდოდა რექტორისა და საბჭოს აზრი დაუდგენელია როგორ გადაწყდებოდა საკითხი.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია გოცაძემ აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია გაჟღერდა ექსპერტების ვიზიტის დროსაც, რომელიც იმთავითვე ყურადსაღები იყო, მისი თქმით, მათი პასუხი ვიზიტისას იყო ის, რომ თუ რექტორი თვლიდა, რომ სტრატეგიულ გეგმასთან მიმართებაში რომელიმე მიზანი არ იყო შესრულებული, რასაც ეწინააღმდეგება აკადემიური საბჭო, რექტორს შეიძლება ჰქონოდა გარკვეული უფლებამოსილება სტრატეგიული გეგმით უნივერსიტეტის მიზნებისთვის მიეღო გადაწყვეტილება შესაბამისი ქმედებების განხორციელებაზე, ვინაიდან მისი პიროვნული ინტერესია ინსტიტუცია სწრაფად განვითარებულიყო. მიუხედავად ამისა, მათ უკვე შეცვალეს აღნიშნული რეგულაცია და ახალი 18.11.2019 წლის ბრძანებით N81-01/13 უკვე შეზღუდულია რექტორის უფლებამოსილება და გადაწყვეტილებას იღებდა საბჭოს წევრების 2/3.

დაწესებულების წარმომადგენელმა, სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელმა, ვახტანგ ზაალიშვილმა აღნიშნა, რომ საერთო პრაქტიკით რექტორი იღებდა გადაწყვეტილებას, აკადემიური საბჭო იყო საკონსულტაციო ორგანო, რომელიც იხილავდა ყველა საჭირობოროტო უნივერსიტეტის პოლიტიკასთან დაკავშირებულ საკითხებს, შემდეგ კი რექტორი ფორმალური აქტით ამტკიცებდა გადაწყვეტილებას. ამჟამინდელი კონფიგურაციით რექტორს ნიშნავდა პარტნიორთა კრება, რომელსაც ჰქონდა გარკვეული სახსრები ჩადებული უნივერსიტეტის დაფუძნებაში და მიზნების მომავალში სწორად რეალიზაციაში, მეორეს მხრივ კი წესდებაში ეწერა, რომ უნივერსიტეტის რექტორის უფლებამოსილება შეზღუდულია იმ დამფუძნებელი დოკუმენტებით, რომელიც უნივერსიტეტს ჰქონდა. მისი განმარტებით, უნივერსიტეტს ჰქონდა ცენტრალური მარეგულირებელი დოკუმენტი, რომლის ერთადერთი მთავარი მიზანი იყო უმაღლესი სასწავლებლის ფუნქციონირება. შესაბამისად, რექტორის ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც კარდინალურ წინააღმდეგობაში მოდის დოკუმენტში მოცემულ მიზნებთან იყო უფლებამოსილების მიღმა მოქმედება, რის გამოც ის გავიდოდა პარტნიორთა მიერ მიცემული ფარგლებს გარეთ. გამომდინარე აქედან, ის ბრძანება, რაც მათ წარადგინეს ფორმალურადაც არ იყო საჭირო, თუმცა ნორმატივები კარგია, რომ იყოს ცხადი და გასაგები. შესაბამისად, ექსპერტების წუხილი უნივერსიტეტის მიერ ნაწილობრივ გაზიარებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ხშირად ყოფილა შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე ადამიანი ასრულებდა და აკონტროლებდა ამ ყველაფერს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ მხოლოდ რექტორი არ აკონტროლებდა ამ პროცესს, ამას ამოწმებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურიც.

საბჭოს წევრი ლევან იმნაიშვილი დაინტერესდა 18.11.2019 წლის ბრძანებასთან N81-01/13 დაკავშირებით, 11.1 პუნქტში ეწერა, რომ სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო იყო რექტორის საკონსულტაციო წარმომადგენლობითი ორგანო, 13.2.1 პუნქტში კი ეწერა, რომ იმ შემთხვევაში თუ რექტორი არ ეთანხმებოდა აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებას და ა. შ. ის დაინტერესდა თუ საბჭო სარეკომენდაციო ხასიათის იყო, რატომ ეწერა სიტყვა „გადაწყვეტილება“.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ბრძანებაში ჩამოთვლილია აკადემიური საბჭოს ფუნქციებიც, პროცედურული თვალსაზრისით აკადემიური საბჭო იხილავდა საკითხს, რომელშიც შედიოდა 11 წევრი და რომლებსაც უნიფიცირებული მოსაზრება ვერ ექნებოდა. თუ მარტივი უმრავლესობით განიხილებოდა საკითხი, აკადემიური საბჭოს უმრავლესობა დადებითი გადაწყვეტილებისკენ იხრებოდა, შესაძლოა აკადემიური საბჭო ჟღერდეს, როგორც საკონსულტაციო ორგანო, თუმცა თუ რეალურ პროცესს განვიხილავთ 11 კაცი მსჯელობდა და იღებდა გადაწყვეტილებას.

საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ მან როგორც არა იურისტმა პროცესი გაიგო შემდეგნაირად: აკადემიურ საბჭოში 11 წევრი მსჯელობდა, მიდიოდნენ გარკვეულ გადაწყვეტილებამდე, რომელსაც ამტკიცებდა რექტორი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა დაამატა, რომ კონკრეტული საკითხის დადებითად გადაწყვეტისთვის რექტორისთვის წარდგენაზე ასევე გადაწყვეტილება იყო მისაღები საკონსულტაციო ორგანოს მიერ და სწორედ ამ გადაწყვეტილებაზე იყო საუბარი.

საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი ასევე, დაინტერესდა ვინ ამტკიცებდა საგანმანათლებლო პროგრამებს, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ აღნიშნული საკითხიც გადის აკადემიურ საბჭოზე და შემდეგ ამტკიცებს რექტორი.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნათია გოცაძემ დაამატა, რომ აკადემიურ საბჭომდე, არსებობდა სკოლის საბჭოც, სადაც განიხილებოდა საკითხი საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებაში. აკადემიური საბჭოს განხილვის შემდეგ, როგორც აღინიშნა რექტორი ამტკიცებდა გადაწყვეტილებას, თუმცა აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება იყოს პრიორიტეტული და არ მოვიდეს შესაბამისობაში რექტორის გადაწყვეტილებასთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მურთაზ კვირკველიამ დაამატა, რომ თუ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ყველაფერი რიგზეა, მაშინ ტიპური სისტემით განხორციელდებოდა პროცესი.

საბჭოს წევრმა გიორგი აბრამიშვილმა აღნიშნა, რომ საკონსულტაციო ფუნქციებთან დაკავშირებით, როგორც მან გაიგო აკადემიური საბჭო იღებდა გადაწყვეტილებას, თუ რა შინაარსის კონსულტაცია ჩამოუყალიბოს რექტორს, შემდეგ კი ის თავად იღებდა გადაწყვეტილებას როგორ გადაწყვიტოს საკითხი. ასევე, დაინტერესდა რას ფიქრობს რექტორი

საჭირო იყო თუ არა დარჩენილიყო საკონსულტაციო სტატუსი აკადემიური საბჭოსათვის, რაზეც ნათია გოცამემ უპასუხა, რომ სტატუსი არ შეიცვლებოდა და ის დარჩებოდა, როგორც საკონსულტაციო.

საბჭოს წევრმა გიორგი გვალიამ აღნიშნა, რომ როგორც ის მიხვდა ექსპერტთა პრეტენზია უკავშირდება მმართველობის და დემოკრატიის ფორმას უნივერსიტეტის შიგნით. მისი თქმით, როდესაც აკადემიურ საბჭოს ჰქონდა მეტი უფლებამოსილება ვიდრე საკონსულტაციოს, ნიშნავს იმას, რომ ის უფრო მონაწილეობდა პროცესში. ის დაინტერესდა რა ხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ აკადემიური საბჭოს ფარგლებში საკონსულტაციო საკითხთა მიმართებაში აკადემიურ საბჭოში გაიყოფოდა აზრი, ვინ წყვეტდა, რომელი აზრი იქნებოდა საუკეთესო და ასევე, დაინტერესდა რა არგუმენტი ჰქონდა უნივერსიტეტს იმისა, რომ პროცესი უფრო დემოკრატიული იყოს.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ რაც უფრო მეტი დემოკრატიაა მით უფრო კარგი იყო პროცესი, საბჭოში 11 წევრი იყო და ხმების გაყოფა შეუძლებელი იქნებოდა, ხოლო რაც შეეხებოდა იმას, რომ დამფუძნებლებმა რექტორის საშუალებით უარესი სცენარი წარმართონ - ესეც შეუძლებელი იყო, რადგან რექტორს არ ჰქონდა გადამწყვეტი ხმა, ყველა დამფუძნებელს თანაბარი ხმა ჰქონდათ, ასევე, შესაძლებელი იყო ამ პროცესის უფრო დახვეწაც მომავალში, ამ ეტაპზე კი უნივერსიტეტი დამწყები იყო და ჯობდა მეტი ბერკეტების გამოყენება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რომ ესაუბრათ 2.2 და 2.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, რომლებიც შეფასებული იყო როგორც სრულ შესაბამისობაში.

ექსპერტმა, სალომე კუჭუხიძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ დოკუმენტალურად ყველა ის დოკუმენტი რომელიც საჭირო იყო (ეთიკის კოდექსი, შინაგანაწესი და ა. შ) დაცული იყო იმ ნორმებით, რაც იყო სტანდარტის მიხედვით გაწერილი და რაც აპრობირებული იყო სხვა უნივერსიტეტთან. მისი თქმით, უნივერსიტეტს არ უწევდა ახალი ველოსიპედის გამოგონება, რადგან ბევრი რამ დამუშავებული და დახვეწილი იყო და ნორმატიული აქტების ვერსიები იყო შემოთავაზებული, რაც ექსპერტისთვის ძალიან კარგი მაგალითი იყო. ასევე, მან აღნიშნა, რომ დაწესებულებას საბჭოს წევრების რაოდენობა არ ჰქონდათ განსაზღვრული, ყველა სრული და ასოცირებული პერსონალი, ასისტენტი ავტომატურად ხდებოდა საბჭოს წევრი, რასთან დაკავშირებითაც ურჩიეს გარკვეული ოდენობის დადგენა არჩევითობის პრინციპით, რაც იყო საუკეთესო პრაქტიკის (Best practices) შეთავაზება უნივერსიტეტისთვის.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა, რომელი პლაგიატის პროგრამა ჰქონდა დაწესებულებას, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ მათ ჰქონდათ შედგენილი ხელშეკრულება ტურნიტინის (Turnitin) პროგრამასთან, რომელიც ხელმოწერილი არ იყო, თუმცა იყვნენ მოლაპარაკების პროცესში, რაც დასტურდება ელექტრონული შეტყობინებებით.

საბჭოს თავმჯდომარე ჩაეკითხა ექსპერტს, რომელიმე საგანმანათლებლო პროგრამის (საბაკალავრო, სამაგისტრო) შემთხვევაში თუ იყო პლაგიატიზმის წინააღმდეგ რაიმე ტიპის მექანიზმები, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ ჰქონდათ ერთიანი დოკუმენტი, რომელიც პლაგიატს უნივერსიტეტის დონეზე არეგულირებს და არა საგანმანათლებლო პროგრამების ან სამაგისტრო დებულების დონეზე.

საბჭოს წევრი დალი კანდელაკი დაინტერესდა დაწესებულების წარმომადგენლებს თუ გაუჩნდათ სურვილი, იმ პერსონალთან ვისთანაც წინასწარი ხელშეკრულებები გააფორმეს

პლაგიატზე გაეტარებინათ მათი ნაშრომები, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ პერსონალის სხვადასხვა კატეგორიასთან პირობითი ხელშეკრულებები დადებული, ხოლო რაც შეეხება შემოწმებას არსებობდა აკადემიური პერსონალის რეპუტაცია და პლაგიატზე ნაშრომები არ შეუმოწმებიათ, ხოლო როგორც კი უნივერსიტეტი სტატუსს მიიღებდა გაფორმდება ხელშეკრულებები და მათ განკარგულებაში იქნებოდა ტურნიტინის (Turnitin) პროგრამა, მათ ჰქონდათ სამეცნიერო საქმიანობის წახალისების სისტემა, სადაც გათვალისწინებულია ეთიკის კოდექსი, კეთილსინდისიერება, ფინანსური სტიმულირება.

დაწესებულების რექტორმა, ნათია გოცაძემ დაამატა, რომ მათ ჰქონდათ სისტემატიური შემოწმება პერსონალთან, ეთიკის კოდექსის გაზიარების კუთხით მუდმივად ჰქონდათ მათთან კომუნიკაცია, პირდაპირი შეხვედრები, სადაც საუბარი იყო პრევენციულ ფორმებზე, პლაგიატის აღმოჩენაზე, შემდეგ ღონისძიებებზე. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, მას არ გასჩენდა ეჭვი, რომ რომელიმე მათგანი არ იზიარებს ამ ღირებულებებს, შემოწმება ალბათ, გარკვეულ დონეზე საჭირო იქნებოდა, რასაც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური განახორციელებდა.

დაწესებულების წარმომადგენლის მურთაზ კვირკველიას თქმით, ამ ეტაპზე პრევენციული ღონისძიებები გატარებული იყო და 97% იცნობდა ეთიკის კოდექს და აღნიშნულ საკითხებს. ნათია გოცაძემ კი დაამატა, რომ სტუდენტების შემთხვევაში აკადემიური წერის სასწავლო კურსი იქნებოდა ინტერაქცია მათთან, რომლის ფარგლებშიც სრულად იქნებოდა მიწოდებული ინფორმაცია. გარდა ამისა, ისინი გეგმავენ საკონსულტაციო შეხვედრებსაც ყველა იმ ინფორმაციის მისაწოდებლად, რომელიც უნივერსიტეტში ხორციელდება.

საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა მე - 3 სტანდარტთან სწავლის შედეგები 6 კომპეტენციით რატომ იყო აღწერილი და რატომ არ გააპროტესტეს ეს ექსპერტებმა.

საბჭოს წევრმა ქეთევან ცხადაძემ პირველ რიგში აღნიშნა, რომ გუნდი, რომელიც იყო ასეთი კვალიფიციური ითვალისწინებდა იმას, რომ მათი მისია და მიზანი წინასწარ ყოფილიყო განსაზღვრული, თუ, როგორ უნდა განხორციელებულიყო მათი მისია საგანმანათლებლო სივრცეში. რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამებს, მისი თქმით, ის გაეცნო სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის შთამბეჭდავ ჩამონათვალს, რომლებიც იყვნენ ძალიან კვალიფიციურები. ის დაინტერესდა რა იქნებოდა სამართლის საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და სამართლებრივი კუთხით განმასხვავებელი ნიშანი, დანარჩენი სამართლის საბაკალავრო, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისაგან. ასევე, მადლობა გადაუხადა მათ ასეთი კარგი და კვალიფიციური პროგრამის დაწერისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ვახტანგ ზაალიშვილმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრს და აღნიშნა, რომ ისინი ნამდვილად არჩევდნენ საუკეთესო კადრებს ჯერ არ არსებული უნივერსიტეტისათვის. მან პირველ რიგში აღნიშნა, რომ სამართალი იყო რეგულირებადი პროფესია და მნიშვნელოვანი იყო, რომ სტუდენტებს ბაკალავრიატის სწავლის განმავლობაში ჰქონოდათ პრაქტიკა. და პრაქტიკა იყო სავალდებულო კომპონენტი. უნივერსიტეტს ჰქონდა სერიოზული კავშირები პრაქტიკაში მოქმედ პერსონალთან, მათ შორის მოსამართლეებთან, ადვოკატთა ასოციაციასთან, ნოტარიუსთა პალატასთან, რომლებიც მზად იყვნენ თანამშრომლობისათვის და ამით იყო მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამა, განსხვავებით სხვა უნივერსიტეტებისაგან. რაც შეეხება უნივერსიტეტის ნიშას, ეს იყო კომუნიკაციები, საგნებში ფიგურირებდა იურიდიული ფსიქოლოგია და მსგავსი ტიპის დისციპლინები, რაც ბაზრისთვის იყო კარგი. წმინდა პროფესიული თვალსაზრისით ის რაც



საჭირო იყო საბაზისო ცოდნისათვის თუმცა ასევე ჰქონდათ მრავალფეროვანი დისციპლინები და სტუდენტებს შეეძლოთ აირჩიონ შესაბამისი კურსები. რაც შეეხება შედეგებს, დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამა გადაკეთებული იყო 3 შედეგზე, სილაბუსები გადიოდა 6 შედეგზე, არსებული აკრედიტაციის სახელმძღვანელოს პრინციპები ითხოვდა 3 შედეგზე გადასვლას, ამავდროულად იყო პროფესიული სტანდარტი. შესაბამისად, ისინი შეეცადნენ შედეგების თვალსაზრისით ეპოვნათ ერთგვარი შუალედი და ეჩვენებინათ, რომ ისინი მზად იყვნენ ორივე სიბრტყეში შეძლებოდათ ჩამოეყალიბებინათ შედეგები, რომელსაც ითხოვს საკანონმდებლო რეგულაციები და ასევე, შემდეგში აესახათ ის ცვლილებები, რასაც კანონმდებლობა შესთავაზებდა მათ.

საბჭოს თავმჯდომარემ მარინა გედევანიშვილმა აღნიშნა, რომ თითოეული სასწავლო კურსის შედეგი იყო საგანმანათლებლო პროგრამის შედეგი, აქედან გამომდინარე, ის წინააღმდეგობაშია 2019 წლის 10 აპრილის 69/ნ ბრძანებასთან, რომლის მიხედვითაც საგანმანათლებლო პროგრამებს ევალებოდათ 3 შედეგზე გასვლა, ასევე, სილაბუსებსაც.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია გოცაძემ აღნიშნა, რომ ისინი სწორედ ამ ცვლილებებს მოერგნენ და საზოგადოებასთან ურთიერთობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა გადაიტანეს 3 შედეგზე. შესაბამისად, ეს პროცესი დაწყებული იყო.

საბჭოს თავმჯდომარემ განმარტა, რომ არარეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამები გადასულია ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოზე, თუმცა რეგულირებადი საგანმანათლებლო პროგრამები, რომელთა დარგობრივი მახასიათებლები ჯერ არ იყო დამტკიცებული ჯერ არ იყო გადასული 3 შედეგზე. შესაბამისად, მისი მოსაზრებით, ამ ეტაპზე დაწესებულება თანხვედრაში იყო კანონთან, რაზეც მარინა გედევანიშვილმა დაამატა, რომ მას შემდეგ რაც ახალი საკვალიფიკაციო ჩარჩო შევიდა ძალაში, მან ყველა ახალ საგანმანათლებლო პროგრამას, მათ შორის რეგულირებად პროგრამებსაც დაავალდებულა 3 კომპეტენციაზე გადასვლა.

მაშინ საბჭოს თავმჯდომარეს გაუჩნდა ლეგიტიმური კითხვა, შეეძლებოდა თუ არა საბჭოს წევრები დაწესებულებას იმ შემთხვევაში, თუ ისინი შეიმუშავებდნენ ახალი კვალიფიკაციის ჩარჩოთი საგანმანათლებლო პროგრამას, როცა არ არსებობდა დარგობრივი მახასიათებლები.

საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილმა საბჭოს თავმჯდომარეს უპასუხა, რომ საგანმანათლებლო პროგრამები იყო ახალი და მათი 3 კომპეტენციით გაწერა სავალდებულო იყო, რაც შეეხება ძველ საგანმანათლებლო პროგრამებს მათთვის ცალკე ვადა იყო განსაზღვრული.

დაწესებულების წარმომადგენელმა ვახტანგ ზაალიშვილიმა აღნიშნა, რომ ჩანაწერში აღნიშნულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ახალ საკვალიფიკაციო ჩარჩოს და დარგობრივ სტანდარტს უნდა ერგებოდეს. შესაბამისად, ეს იყო კუმულატიური პირობა.

საბჭოს წევრი დალი კანდელაკი დაინტერესდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ნაშრომთან დაკავშირებით, ხდებოდა თუ არა კომისიების განმეორება, სადაც ნაშრომის შეფასება ხდებოდა ორ ეტაპად: შუალედურად, რომელსაც აკეთებდა ხელმძღვანელი და კომისია და დასკვნითი, რომელსაც მხოლოდ კომისია აფასებდა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ კომისიების განმეორება არ ხდებოდა. მაშინ საბჭოს წევრმა აღნიშნა, რომ როგორც ის მიხვდა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ნაშრომის დასკვნითი შეფასება ხდება ხელმძღვანელის გარეშე, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ

ხელმძღვანელი წერდა შუალედურ შეფასებას, რომელსაც ასევე, აკონტროლებდა ცალკე კომისია. საბჭოს წევრმა საკვლევ თემასთან დაკავშირებითაც ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, თემების ნუსხას თუ საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი ადგენდა და სტუდენტი გამოიჩინდა ინიციატივას სხვა თემის არჩევასთან დაკავშირებით, თუ ექნებოდა სტუდენტს ამის საშუალება. დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს განუმარტა, რომ ისინი სტუდენტის ინიციატივას ყოველთვის ითვალისწინებდნენ. მისი თქმით, სასწავლო დაწესებულებისთვის კვლევა იყო პრიორიტეტი. შესაბამისად, აკადემიური პერსონალი, რომელსაც უნდა ეხელმძღვანელა სტუდენტისთვის ერთად არჩევდნენ საკვლევ თემას, რომელიც საბოლოო ჯამში მეცნიერების ხელშეწყობისკენ იქნებოდა მიმართული. მან დაამატა, რომ სტუდენტების წახალისება და მოტივირება გაწერილი იყო საგანმანათლებლო პროგრამისა და უნივერსიტეტის სამოქმედო გეგმაშიც.

დაწესებულების წარმომადგენელმა მე - 4 სტანდარტთან, კერძოდ, 4.1 ქვესტანდარტთან, პერსონალის მართვასთან დაკავშირებით, რომელიც შეფასებულია მეტწილად შესაბამისობაში, აღნიშნა, რომ პერსონალის დატვირთვა, აფილირება, არჩევები და ა. შ - ეს იყო გლობალური პრობლემა ყველა ინსტიტუციაში. ის დაინტერესდა რა მექანიზმები ჰქონდათ მათ პერსონალის შესანარჩუნებლად, რომ არ მომხდარიყო მათი განთესვა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მურთაზ კვირკველიამ აღნიშნა, რომ მათ ჰქონდათ მოტივაციის ამაღლების ტიპური მექანიზმები: ანაზღაურების სიტემა, სტრატეგიული გეგმა, რომელიც ასევე, ითვალისწინებდა აკადემიური, მოწვეული პერსონალის მოტივირებას, სადაც ჩადებული იყო სამეცნიერო საქმის სტიმულირება, 12 თვიანი ანაზღაურება, საგრანტო პროექტების დაფინანსება, სახელმძღვანელოების დაფინანსება, არსებობდა აფილირებული და აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა, რომელიც მიზნული იყო ანაზღაურების სისტემასთან, განმავითარებელი ტრენინგები და საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მხარდაჭერა.

საბჭოს თავმჯდომარე მე - 6 სტანდარტთან დაკავშირებით დაინტერესდა ბიუჯეტის რამდენი პროცენტი იყო კვლევისათვის გამოყოფილი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ბიუჯეტიდან კვლევისათვის 6% იყო გამოყოფილი. გარდა ამისა, დაწყებული ჰქონდათ აქტიური მოლაპარაკებები, რომ ალტერნატიული ჩართულიყო სხვადასხვაპროექტებში და ჯერ კიდევ საავტორიზაციო პროცესში მათ უკვე მიღებული ჰქონდათ დასტურები გარკვეული პროექტებიდან. რაც შეეხება აკადემიური პერსონალის მოტივაციას, მან აღნიშნა, რომ მათი ორიენტაცია იყო კვლევითი პოტენციალის გაღრმავება, გამოვლინება, ზოგადად განვითარება და პროცესის დარეგულირება, რომ აკადემიურ პერსონალს არ უწევდეს მისი პოტენციალის არამიზნობრივად გაფლანგვა. მათ აღნიშნეს, რომ ისინი შექმნიან მაქსიმალურად კომფორტულ გარემო პერსონალისთვის წახალისების წესით, მაგალითად, ფინანსების პროცენტული მაჩვენებელით, რომელიც გამოყოფილი იყო კვლევებზე და რომელიც შექმნიდა პროფესიული და პიროვნული წინსვლის საშუალებას.

საბჭოს წევრმა ქეთევან ცხადაძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტების კვლევითი პოტენციალის განხორციელების აქტივობების შეფასება იყო პრობლემა პრაქტიკიდან გამომდინარე. ის დაინტერესდა რამდენად მართებული იყო სტანდარტი შეფასებულიყო როგორც სრულად შესაბამისი, როდესაც სტანდარტის ნორმატიული შინაარსი ითხოვდა აწმყო დროშიც კვლევის შეფასებას, ხოლო აღნიშნული უნივერსიტეტი ჯერ არ არსებობდა და შესაბამისად არ ჰქონდა ჩატარებული არცერთი კვლევა.

საბჭოს წევრმა დალი კანდელაკმა ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ მოთხოვეს ექსპერტებმა აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული ხელშეკრულების მიხედვით სამეცნიერო შრომები, ხარისხის შესაფასებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ შეფასებისას ექსპერტების მიერ სავარაუდოდ გათვალისწინებული უნდა იყოს აკადემიურ პერსონალთან განხორციელებული ინტერვიუების შედეგები, ასევე, დაწესებულებას სრულად ჰქონდა აღნუსხული კვლევითი პროექტები, სტატიები და ნაშრომები, ჩანდა მათი მზაობა, რომ ითანამშრომლონ უნივერსიტეტთან. გარდა ამისა, მათ ჩაატარეს პერსონალის კვლევითი ინტერესების გამოკითხვები, იმისათვის, რომ მათი ინტეგრირება მომხდარიყო იმ საერთაშორისო პროექტებში, რომელიც დაწყებული ჰქონდათ. მისი თქმით, ისინი ხელმძღვანელობენ იგივე სტანდარტებით, თუმცა მათი შეფასება უნდა მომხდარიყო იმ მზაობით და პროცესით, რასაც ახორციელებდნენ და ჰქონდათ დაგეგმილი, ისინი მაქსიმალურად შეეცადნენ წარმოედგინათ უნივერსიტეტის ხედვა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამწუხარო იყო ის ფაქტი, რომ არ არსებობდა ცალკე სტანდარტი ახალი უნივერსიტეტის შეფასებისთვის და ისინი ფასდებოდნენ იმავე სტანდარტებით რითაც ფასდებოდნენ უკვე არსებული უნივერსიტეტები.

საბჭოს წევრმა ლევან იმნაიშვილმა განმარტა, რომ მე - 6 სტანდარტი ითხოვდა არა წარსულ კვლევას, არამედ აწმყოს კვლევებს, რაც უნივერსიტეტს არ ჰქონდა წარმოდგენილი. მან აღნიშნა, რომ თუ აღნიშნული ინსტიტუცია შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი მეექვსე სტანდარტის მიმართებით, რა პასუხი უნდა გაცეათ საბჭოს წევრებს ტრადიციული უნივერსიტეტებისთვის, რომლებსაც არ ჰქონიათ მეექვსე სტანდარტი სრულ შესაბამისობაში, რეალურად კი ისინი ძალიან ბევრ ფინანსებს ხარჯავდნენ რომ ჩაეტარებინათ კარგი და ხარისხიანი კვლევები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია გოცაძემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ ისინი ფასდებოდნენ იმის მიხედვით თუ რას გეგმავდნენ მომავალში.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ სტანდარტი იყო დასაკორექტირებელი არსებული და ახალი ინსტიტუციების შეფასების მექანიზმების მხრივ. ასევე, დაინტერესდა სტრატეგიულ გეგმაში თუ იყო გაწერილი კვლევები.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მურთაზ კვირკველიამ საბჭოს თავმჯდომარეს პირველ რიგში შეფასებასთან დაკავშირებით უპასუხა, რომ ექსპერტებმა მოითხოვეს ყველა დოკუმენტი: აკადემიური, მოწვეული პერსონალის ნაშრომები, შეჯამებული ინფორმაცია სად იყო პოტენციური პერსონალის სტატიები გამოქვეყნებული, რომელ საერთაშორისო კონფერენციებში ჰქონდათ მონაწილეობა მიღებული, ყველაფერი ეს შეფასდა დეტალურად. ეს იყო პერსონალთა ჯგუფი, რომელიც ინტეგრირებული იყო იმ უნივერსიტეტში, რომელსაც ჰქონდა მისი კონკრეტული სტრატეგიული გეგმა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია გოცაძემ დაამატა, რომ ახალი უნივერსიტეტისათვის, რომელსაც ჰქონდა მისი ხედვა და მზაობა ადეკვატური იყო ის შეფასება, რაც მიიღეს. მისი თქმით, დაბალი შეფასება, ვერ იქნებოდა ადეკვატური იმ მოცემულობის გათვალისწინებით, როდესაც აკადემიური პერსონალი მზად იყო ჩაერთულიყო კვლევებში.

საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა რამდენი აფილირებული პერსონალი ჰყავდა დაწესებულებას, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ ჰყავდათ 14 აფილირებული პერსონალი, აფილირების ხელშეკრულება ითვალისწინებდა ავტორიზაციის გავლის შემდეგ მის ძალაში შესვლას. ასევე, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში ჩატარდა 2 კონფერენცია, სამართალი და მარკეტინგული კომუნიკაციები, ვებ - გვერდი დამუშავების პროცესში იყო, სადაც ინფორმაცია განთავსდებოდა ეტაპობრივად.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რომელ ბაზაში იყო ელექტრონული ჟურნალი. რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ეს ჟურნალი იყო ახალგაზრდა მკვლევრების მოზიდვის საშუალება გამოყენებითი კვლევების პროექტებში ჩართულობის გზით. მათ გათვლილი ჰქონდათ როგორ ჩართავენ პერსონალს საერთაშორისო პროექტებში, ამ ჟურნალით კი ახალგაზრდა მკვლევრებს აძლევენ საშუალებას წარმოადგინათ თავიანთი სტატიები.

ექსპერტმა, ნუცა ჯმუხაძემ დაამატა, ერთგვარი დილემა ჰქონდათ ექსპერტებს, რადგან ისინი აფასებდნენ გეგმას და არა არსებულ რეალობას. სტანდარტის სრულ შესაბამისობაში შეფასების მიზეზი იყო ის, რომ ექსპერტებს არ ჰქონდათ რეკომენდაცია გაცემული კონკრეტულ სტანდარტთან მიმართებით. საბჭოს წევრმა გიორგი გვალიამ ასევე, აღნიშნა, რომ პრობლემა იყო არა მხოლოდ კვლევით ნაწილში არამედ სტუდენტური სერვისების შეფასებაშიც, რადგან ჯერ უნივერსიტეტს არ ჰყავდა სტუდენტები.

საბჭოს წევრმა გიორგი აბრამიშვილმა აღნიშნა, რომ პერსონალი, რომელიც ავტორიზაციის გავლის შემდეგ მათ ჰპირდება მათთან გადმოსვლას შესაძლებელი იყო, რომ უკეთესი პირობების შემთხვევაში გადასულიყვნენ სხვა უნივერსიტეტშიც, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არავინ იყო ამისგან დაზღვეული, თუმცა მათ ჰქონდათ ისეთი ინდიკატორები შემუშავებული, რომ აღნიშნული პერსონალი ღირებულებებთან თანხვედრის გამო აირჩევიდა ალტერნატივას და არა მხოლოდ მატერიალური კუთხით. მან თქვა რომ ისინი მაქსიმალურად შეეცდებოდნენ შეექმნათ ისეთი პირობები, რომ აკადემიური პერსონალი ყოფილიყო პიროვნულად და პროფესიონალურად მზარდი უნივერსიტეტის სივრცეში. რექტორმა აღნიშნა, რომ მან იცოდა როგორ მოიყვანა ინსტიტუცია აქამდე და გააგრძელებდა ამ ღირებულებების შენარჩუნებას.

ექსპერტმა ნუცა ჯმუხაძემ მე - 5 სტანდარტთან მიმართებით აღნიშნა, რომ ამ სტანდარტთან დაკავშირებითაც იყო იგივე პრობლემა რაც მეექვსე სტანდარტთან მიმართებით, უნივერსიტეტს არ ჰყავდა სტუდენტები და ვერ შეაფასებდნენ სხვაგვარად. შეფასება ეფუძნებოდა სრულყოფილ დოკუმენტებს და ინტერვიუებს, სადაც ამ ადამიანების განწყობა კარგად ჩანდა. ასევე, აღნიშნა, რომ ის თავად სიამოვნებით ისწავლიდა აღნიშნულ უნივერსიტეტში, რადგან უნივერსიტეტის მხრიდან ჩანდა სტუდენტზე ორიენტირებულობა.

საბჭოს წევრმა დალი კანდელაკმა აღნიშნა, რომ მაგისტრატურის დებულებაში ეწერა შემდეგი რამ: მაგისტრატურის კანდიდატს ჯერ ჩარიცხავენ და შემდეგ მასთან აფორმებენ ხელშეკრულებას, რაც ეწინააღმდეგებოდა მინისტრის 227 ბრძანების 32 მუხლის მე -3 პუნქტს, რომლის მიხედვითაც, უსდ - ში კანდიდატის ჩარიცხვა ფორმდება მათ შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, შემდეგ კი გამოიცემა რექტორის ერთიანი აქტი, რაც დაწესებულებაში პირიქით იყო და შესასწორებელი იყო. ასევე, ამავე დებულების მიხედვით, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე აპლიკანტი ჩაირიცხება თუ მას ჰქონდა ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი, მინისტრის 227 ბრძანების 32 მუხლის მე -

2¹ პუნქტის მიხედვით, მაგისტრატურის კანდიდატს შესაძლოა ჩაბარების მომენტში არ ჰქონოდა დიპლომი, მას ეძლეოდა ერთი სემესტრი, რომლის დასრულების შემდეგაც ის წარმოდგენდა ამ დიპლომს, მანამდე კი შესაძლო იყო მისი ჩარიცხვა ცნობის საფუძველზეც.

ასევე, საბჭოს წევრი დაინტერესდა როდესაც აპლიკანტი მაგისტრატურაზე აბარებდა და განაცხადი შეჰქონდა უნივერსიტეტში, თუ მას დაუდგინდებოდა ხარვეზი უნივერსიტეტი რატომ არ განუსაზღვრავდა კანდიდატს გამოსასწორებლად დროს და დოკუმენტაციას არასრულად წარმოსადგენისას რატომ უუქმდებოდა აბიტურიენტს განცხადება. მან ჰკითხა დაწესებულების წარმომადგენელს, შიდა მობილობაზე გადასვლის უფლება სტუდენტს რომელი სემესტრიდან ჰქონდა და ასევე, განუმარტა, რომ ტერმინი „გარე მობილობა“ არ გამოეყენებინათ, რადგან აღნიშნული ტერმინი არ არსებობდა.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრს უპასუხა, რომ შიდა მობილობა შესაძლებელი იყო 1 სემესტრის შემდეგ. მისი თქმით, სტუდენტების მიღებამდე, ავტორიზაციის შემდეგ მათ ჰქონდათ ხანგრძლივი პროცესი გასავლელი და გაითვალისწინებდნენ აღნიშნულ შენიშვნებს.

საბჭოს წევრმა დალი კანდელაკმა აკადემიურ კალენდართან დაკავშირებით აღნიშნა, რომ დაწესებულებას განსაზღვრული ჰქონდა 2019 – 2020 წლის კალენდარი, სადაც შემოდგომის სემესტრში საგამოცდო პერიოდი 16 – 30 იანვარი იყო მითითებული, რაც ძალიან მცირე ვადა იყო ძირითადი და დამატებითი გამოცდებისათვის. მისი შეფასებით, თუ გამოცდა წერილობითი იყო მაშინ რთული იქნებოდა გამოცდების მითითებულ ვადებში შესრულება და გასათვალისწინებელი იყო ისიც, რომ აკადემიურ პერსონალსაც მისცემოდა გარკვეული ვადა ნაშრომების გასასწორებლად.

დაწესებულების წარმომადგენელმა, მურთაზ კვირკველიამ აღნიშნა, რომ გამოცდის ფორმა გაწერილი იყო სილაბუსში. მან თქვა, რომ ისინი იყვნენ სტუდენტზე ორიენტირებულნი, მათ ჰქონდათ საკონსულტაციო, სტუდენტური სამსახურები.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი არ იყო ავტორიზებული და მას არ ჯერ არ ჰქონდა დაწყებული საქმიანობა, შესაბამისად, ხელშეკრულება და ჩარიცხვის ბრძანების კუთხით ჯერ პრობლემა არ არსებობდა.

საბჭოს წევრი ნინო ხოლუაშვილი დაინტერესდა რას გულისხმობდნენ ექსპერტები დაბალი ბარიერის დაწესებაში, იყო ეს საგამოცდო ბარიერი თუ შიდა რაიმე ბარიერი. ასევე, თუ ნახეს სამომავლოდ რა საერთაშორისო ღონისძიებები და აქტივობები იგეგმებოდა დაწესებულებაში ინტერნაციონალიზაციის თვალსაზრისით, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ იგულისხმა შიდა ბარიერის დაწესება, ხოლო რაც შეეხება საერთაშორისო პროექტებს დაწესებულებას დაგეგმილი ჰქონდა კონფერენციები, გაცვლითი პროექტები, რაც კარიერული განვითარების სამსახურის წარმომადგენელთან გასაუბრებით დაადგინეს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა საბჭოს წევრებს დეტალური განხილვისათვის, რექტორმა აღნიშნა, რომ დიდი მოლოდინი ჰქონდა დღევანდელი დღის და ზუსტად ასე წარმოედგინა ეს დღე. მათ მიიღეს ღირებული რჩევები და რეკომენდაციები, რომელსაც აუცილებლად გაითვალისწინებენ იმ გამოცდილებაზე დაყრდნობით რაც უკვე დაგროვილი ჰქონდათ.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა რამდენი სტუდენტის სერვისს უზრუნველყოფდა დაწესებულება, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ 400 სტუდენტის სერვისს უზრუნველყოფდნენ, რაზეც ექსპერტმა დაადასტურა, რომ დაწესებულება მზად იყო მიეღო ეს კონტიგენტი იმ პერიოდში, როცა ეს იყო დაგეგმილი.

საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა: 17:37 საათზე.

საბჭოს სხდომა განახლდა: 18:03 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარის განმარტებით, ექსპერტებისა და დაწესებულების არგუმენტების მოსმენის საფუძველზე, საბჭომ მიზანშეწონილად მიიჩნია შეეცვალათ 1.2; 5.1 და 6.1 კომპონენტების შეფასებები. 1.2 კომპონენტი შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი მოთხოვნებთან, რადგან როგორც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარესთან Skype ჩართვის შედეგად გაირკვა, რომ იყო ტექნიკური ხარვეზი და რეკომენდაცია რომელიც ამ სტანდარტის მიმართებით იყო გაცემული ეხებოდა მესამე სტანდარტს. რაც შეეხება სტანდარტის 5.1 კომპონენტს, ამ კომპონენტთან მიმართებით აღმოჩნდა რამდენიმე უზუსტობა, რომელიც აცდენილი იყო კანონის მოთხოვნებს, ამიტომ საბჭომ გადაწყვიტა, რომ აღნიშნული კომპონენტი შეფასებულიყო როგორც მეტწილად შესაბამისი, ნაცვლად სრულად შესაბამისისა. რაც შეეხება 6.1 კომპონენტს რადგან უნივერსიტეტს ჯერ არ ჰქონდა ჩატარებული კვლევები ისიც ანალოგიურად შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი, ნაცვლად სრული შესაბამისისა.

შესაბამისად, საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯის ავტორიზაციისა და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 400-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 11

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 56² მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 56³ მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 25-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-6 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, შპს მართვისა და კომუნიკაციის საერთაშორისო სასწავლო უნივერსიტეტი ალტერბრიჯს (ს/კ: 405284473) 6 წლის ვადით მიენიჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს 400-ით.

საბჭოს წევრმა აკაკი ხელაძემ 18:08-ზე დატოვა სხდომა.

2. შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდის საკითხის განხილვა

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება, წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების მიერ წარმოდგენილ განაცხადს, დაწესებულების მიერ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე შედგენილ არგუმენტირებულ პოზიციასა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხიყო წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. უსდ-ს წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, რომ დაეფიქსირებინათ მათი პოზიცია, ძირითადი რეკომენდაციები და მიგნებები. ექსპერტებმა საბჭოს წინაშე წარადგინეს შემდეგი რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია ფაკულტეტის საბჭოს წევრთა რაოდენობის გაზრდა აკადემიური პერსონალის წარმომადგენლობითობისა და მართვის ეფექტურობის უკეთ უზრუნველსაყოფად.
- რეკომენდებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რაოდენობრივი და დიფერენცირებული გაზრდა /გაფართოება (მაგალითად, ანალიტიკური და ხარისხის გარე შეფასების კომპონენტთა - ავტორიზაცია და აკრედიტაცია მიმართულებით).
- რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომი შეთავაზებული იქნას სტუდენტებისთვის ინდივიდუალურ ფორმატში.
- აკადემიური პერსონალის აფილირების წესის და პირობების მარეგულირებელ დოკუმენტში განსაზღვრულია აფილირებული პერსონალის კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობა. რეკომენდებულია, აღნიშნული ფინანსური მხარდაჭერის ფორმულირება მკაფიოდ გაიწეროს და გაიზარდოს აფილირებული პერსონალის ინფორმირებულობა ამ საკითხთან დაკავშირებით.
- გაიზარდოს ზოგადად აკადემიური და მათ შორის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აფილირებული პერსონალის რაოდენობა, მოხდეს აფილირებული პერსონალის სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში ჩართულობის ფინანსური წახალისება და მკაფიოდ გაიწეროს შესაბამის წესში.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნიწო დადანიძემ საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ცენტრის დირექტორის ბრძანების საფუძველზე 14 – 15 ნოემბერს ექსპერტები იმყოფებოდნენ ვიზიტით შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტში, რომლის მიზეზიც იყო უნივერსიტეტის მიერ შეტანილი განაცხადი ცენტრში სტუდენტების ზღვრული რაოდენობის 1250 - ით გაზრდის შესახებ (სულ 5 000). ექსპერტის თქმით, უნივერსიტეტმა 2016 წელს გაიარა ავტორიზაცია, რომლის შემდეგაც მან ცენტრს რამდენჯერმე მიმართა სტუდენტთა ზღვრული კონტიგენტის გაზრდასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტში ბოლო ვიზიტი შედგა 1 წლის წინ, სადაც ექსპერტი ნიწო ბერიშვილიც იმყოფებოდა.

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მთლიანი დოკუმენტაცია, თუ რა რეკომენდაციები გაიცა იმ დროს და თვალნათლივ დაინახა ის პროგრესი, რომელიც უნივერსიტეტმა განიცადა. რაც შეეხება

უნივერსიტეტის მონაცემებს, ექსპერტის განმარტებით, უნივერსიტეტში ამჟამად (30 ოქტომბრის მონაცემებით) სწავლობდა 2 721 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი, 301 სტუდენტს - სტატუსი შეჩერებული ჰქონდა, უნივერსიტეტში დასაქმებული იყო 45 აფილირებული აკადემიური პერსონალი და 30 მოწვეული პერსონალი, უნივერსიტეტის სასწავლო ფართი შეადგენდა - 3 628,27 კვ.მ, საიდანაც აუდიტორებისთვის განკუთვნილია -2 236,72 კვ.მ , ხოლო კომპიუტერული კლასებისათვის - 698,7 კვ.მ. ექსპერტის თქმით, ამჟამად უნივერსიტეტში ხორციელდება 3 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა და სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამები. მათი სწავლების ენა იყო ქართული. ასევე, უნივერსიტეტი გეგმავდა ინგლისურენოვანი იმავე საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების დამატებას. მან აღნიშნა, რომ ვიზიტმა მშვიდ და კონსტრუქციულ გარემოში ჩაიარა, განხორციელდა დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა შეხვედრა, გაიარეს ინტერვიუები და 2 დღის შემდეგ ექსპერტთა ჯგუფმა გააცნო მისი მიგნებები უნივერსიტეტის წარმომადგენლებს, რაც მათ მიერ კონსტრუქციულად იქნა მიღებული.

ექსპერტმა საბჭოს წევრებს გააცნო მოკლე დასკვნა, რომლის მიხედვითაც, შპს - ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტის ზღვრული რაოდენობის გაზრდასთან დაკავშირებით, განხორციელებული ინსტიტუციური შეფასების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფი იძლეოდა რეკომენდაციას, რომ დაწესებულებას სტუდენტთა კონტიგენტის ზღვრული რაოდენობა გაეზარდოდა მოთხოვნის შესაბამისად 1 250 სტუდენტით. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ კიდევ ერთხელ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ადმინისტრაციულ აკადემიურ, მოწვეულ და დაინტერესებულ პერსონალთან ინტერვიუების ჩატარების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ავტორიზაციის ექსპერტთა წინა ვიზიტებისას გაცემული რეკომენდაციები და საგრძნობლად განვითარდა ამ მიმართულებით, მას გააზრებული ჰქონდა სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის შესაძლებლობა და ჰქონდა შესაბამისი პოტენციალი. ექსპერტის თქმით, გამომდინარე იქიდან, რომ არ არსებობდა შემუშავებული და დამტკიცებული ფორმა ამგვარი დასკვნის წარმოდგენის ის მას წარმოადგენდა ნარატივის სახით, თუმცა მათ იმუშავეს ყველა სტანდარტზე.

მისი განმარტებით, პირველ სტანდარტთან მიმართებით რეკომენდაცია არ გაცემულა, მეორე სტანდარტთან მიმართებით გაიცა რეკომენდაცია, რომ რეკომენდირებული იყო ფაკულტეტის საბჭოს წევრთა რაოდენობის გაზრდა აკადემიური პერსონალის წარმომადგენლობისა და მართვის ეფექტურობის უკეთ უზრუნველსაყოფად, ამჟამად ფაკულტეტს საბჭოზე წარმოდგენილი იყო ფაკულტეტის დეკანის მოვიდოდალეობის შემსრულებელი, 3 აკადემიური პერსონალი და 3 სტუდენტი. შესაბამისად, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ 45 აკადემიური პერსონალის წარმოდგენა 3 პროფესორით აკადემიურ საბჭოზე იყო მცირე. მეორე რეკომენდაცია იყო, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის რაოდენობრივი და დიფერენცირებული გაზრდა გაფართოება, მაგალითად, ანალიტიკური და ხარისხის გარე შეფასების კომპონენტთა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მიმართულებით. ექსპერტის განმარტებით, უნივერსიტეტი ანვითარებდა ხარისხის კულტურას, ისინი დარწმუნდნენ, რომ ყველა ადმინისტრაციული ერთეული, აკადემიური და მოწვეული პერსონალი ჩართული იყო პროცესებში, რომელიც ისე იყო აგებული, რომ ხდებოდა ურთიერთგაზიარება, რაც მნიშვნელოვანი იყო ხარისხის კულტურისათვის, თუმცა გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტების რაოდენობა შეიძლება გაზრდილიყო, ექსპერტებმა ჩათვალეს, რომ არა მხოლოდ რაოდენობრივ არამედ თვისობრივ ცვლილებებსაც განიცდიდა უნივერსიტეტი მომავალში.



მე - 3 სტანდარტთან, საგანმანათლებლო პროგრამებთან დაკავშირებით, რეკომენდირებული იყო სამაგისტრო ნაშრომი შეთავაზებულ ყოფილიყო სტუდენტებისათვის ინდივიდუალურ ფორმატში. მისი განმარტებით, მათ ნახეს, რომ სტუდენტებს შესთავაზებდნენ როგორც ინდივიდუალურ ისე ჯგუფურ ფორმატს, თუმცა ექსპერტებმა მკაფიოდ ვერ დაინახეს როგორ შეიძლება შეფასებულიყო სამაგისტრო ნაშრომის წარდგენისას თითოეული სტუდენტის კონტრიბუცია.

მე - 4 სტანდარტთან, ადამიანურ რესურსთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ აკადემიური პერსონალის აფილირების წესისა და პირობების მარეგულირებელ დოკუმენტში განსაზღვრული იყო აფილირებული პერსონალის კვლევითი საქმიანობის ფინანსური მხარდაჭერის შესაძლებლობა. შესაბამისად, ექსპერტების მოსაზრებით, რეკომენდირებული იყო, აღნიშნული ფინანსური მხარდაჭერის ფორმულირება მკაფიოდ ყოფილიყო გაწერილი და გაზრდილიყო აფილირებული პერსონალის ინფორმირებულობა ამ საკითხთან დაკავშირებით. ასევე, რეკომენდირებული იყო გაიზრდილიყო აკადემიური და მათ შორის დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აფილირებული პერსონალის რაოდენობა, მომხდარიყო აფილირებული პერსონალის სამეცნიერო კვლევით საქმიანობაში ჩართულობის ფინანსური წახალისება და მკაფიოდ გაწერილიყო შესაბამისი წესი. ექსპერტის თქმით, მე - 4 სტანდარტთან დაკავშირებით ჰქონდათ რჩევაც, რომლის მიხედვითაც სასურველი იყო, უნივერსიტეტში შეიქმნილიყო უწყვეტი განათლების ცენტრი, რაც ხელს შეუწყობდა უნივერსიტეტის სამომავლო განვითარებას.

მე - 6 სტანდარტთან დაკავშირებით, რეკომენდირებული იყო, უნივერსიტეტს შეემუშავებინა კვლევების განხორციელების ქმედითი მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა კვლევით დაინტერესებული აკადემიური პერსონალის, დოქტორანტებისა და მაგისტრების ჩართვას კვლევით პროექტებში და კვლევის კუთხით ამბიციური გეგმების განხორციელებას.

მე - 7 სტანდარტთან დაკავშირებით, რეკომენდირებული იყო, ბიუჯეტში ასახულიყო ფინანსების დივერსიფიცირებული წყაროები უნივერსიტეტის ფინანსური მდგრადობის შესაფასებლად და ასევე, რეკომენდირებული იყო, დაწესებულებას ჩაეტარებინა ფინანსური აუდიტის. ექსპერტის თქმით, აღნიშნულ სტანდარტთან დაკავშირებით ჰქონდათ რამდენიმე რჩევაც. სასურველი იყო, დაწესებულებას შიდა აზომვით ნახაზზე დაეტანა სასწავლო და დამხმარე ფართების ჯამური ოდენობა, რათა უფრო ნათლად ყოფილიყო წარმოდგენილი გამიჯნული ფართები. სასურველი იყო, დაწესებულებას კაფეტერიისთვის დამატებითი ფართის გამოეყო და ის მოეწყო შესაბამისად, რათა სტუდენტთა კონტიგენტის გაზრდის შემთხვევაში შესაძლებელი იყოს მათი შეუფერხებლად მომსახურება. ასევე, სასურველი იყო, ბეჭდური წიგნების რაოდენობის გაზრდა რათა სტუდენტთა რაოდენობის ზრდის შემთხვევაში უზრუნველყოფილი ყოფილიყო მათი მოთხოვნების დაკმაყოფილება. ასევე, სასურველი იყო, ელექტრონული რესურსების ახალ ბაზაზე წვდომის გაზრდა, გაუმჯობესებულიყო ინტერნეტის მიწოდების სიჩქარე, რაც აამაღლებდა სტუდენტთა კმაყოფილებას აღნიშნული მიმართულებით და სასურველი იქნებოდა განისაზღვრული ყოფილიყო ბიუჯეტში თანხები პერსონალის პროფესიული განვითარებისათვის.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ხარისხის სამსახურის უფროსმა თამარ გვიანიშვილმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს, იმისათვის, რომ ვიზიტი განხორციელდა კონსტრუქციულ, თანამშრომლობით და კოლეგიალურ გარემოში. მადლობა გადაუხადა ობიექტური, მკაფიო და შედეგზე ორიენტირებული რეკომენდაციებისა და რჩევების გაცემისათვის. დაწესებულებამ იმსჯელა რჩევებზე და რეკომენდაციებზე და მოხდა ყველა მათგანის გაზიარება. მიუხედავად

იმისა, რომ არსებობდა არგუმენტირებული პასუხის ფორმა ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მათ ნარატივის სახით გაწერეს თუ როგორ მოახდენდნენ თითოეული რეკომენდაციისა და რჩევის რეალიზებას, მოქმედი დოკუმენტების იმპლემენტაციას და სამომავლო ნაბიჯების გადადგმას. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ვიზიტი ისეთი თანამშრომლობითი ხასიათის იყო, რომ ექსპერტებთან საუბრის დროს უკვე იკვეთებოდა ის გასაძლიერებელი მხარეები, რომელიც არსებობდა დაწესებულებაში.

ხარისხის სამსახურის სტრუქტურასთან მიმართებაში გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, უნივერსიტეტი აპირებს სამსახურის გაფართოებას, ეყოლებათ 2 სპეციალისტი მომდევნო წლის პირველივე კვარტალში. რაც შეეხება ფაკულტეტის საბჭოს გაზრდას, მისი თქმით, საბჭოს შემადგენლობა გასამაგდა, ჰყავდათ 16 საბჭოს წევრი. გარდა ამისა, მომავალ წელს იგეგმებოდა აკადემიური პერსონალის კონკურსის ჩატარება და საბჭოს შემადგენლობა ეტაპობრივად კიდევ გაიზრდებოდა. ინდივიდუალურად კვლევითი კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მარეგულირებელ დოკუმენტში უკვე შეტანილია შესაბამისი ცვლილებები, სადაც მითითებულია, რომ კვლევა ტარდებოდა ინდივიდუალურად და შეფასებაც მოხდებოდა ამ პრინციპის დაცვით. რაც შეეხება, ფინანსური მხარდაჭერის ფორმულირებას მომდევნო წლის პირველ კვარტალში მოხდებოდა აფილირებული პერსონალის საქმიანობის ეფექტიანობის შესწავლა და იქნებოდა ამოქმედებული როგორც მონეტარული ისე, არა მონეტარული წახალისების მექანიზმები დამსახურებების მიხედვით, რომელიც მათ ექნებოდათ დაწესებულების განვითარების მიმართულებით.

მისი თქმით, აფილირებული პერსონალის საქმიანობა მოიცავდა საგანმანათლებლო, კვლევით საქმიანობას, სტუდენტების ხელშეწყობის პროგრამებში ჩართულობასა და ბი თი უს (BTU) განვითარებაში მონაწილეობას. ამ კომპონენტებიდან, განსაკუთრებული ადგილი ეკავა კვლევას, აფილირების ხელშეკრულებაში იქნებოდა შეთანხმებული მათი წვლილი და შესაბამისად იქნებოდა გამოყენებული წახალისების ფორმები.

აზომვით ნახაზთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა თქვა, რომ მიცემულია შესაბამისი დავალება. რაც შეეხება პერსონალის განვითარებაზე მიმართულ თანხებს, მან აღნიშნა, რომ ეს გათვალისწინებული იყო არა მხოლოდ ამ და მომავალი წლის ბიუჯეტში, არამედ ის იქნებოდა ზრდადი, ამ ეტაპისთვის კი არის 50 000 ლარი. ყველა ცვლილება განხილული და დამტკიცებული იყო აკადემიური საბჭოს მიერ, რომელიც აღნიშნული იყო მათ სამოქმედო გეგმაში, საიდანაც მნიშვნელოვანი ნაწილი შესრულებული იყო და დანარჩენი შესრულდებოდა უახლოეს მომავალში. რაც შეეხება რეკომენდაციას, რომ გაიზარდოს დოქტორის ხარისხის (PHD) მქონე აკადემიური პერსონალის რაოდენობა, მან განმარტა, რომ მომავალ წელს, გაზაფხულის ბოლოს ჩატარდებოდა აკადემიური კონკურსი, სადაც განსაკუთრებული ყურადღება მიექცეოდა დოქტორის ხარისხის მქონე კანდიდატებს.

საბჭოს წევრი ირაკლი ხვთისიაშვილი დაინტერესდა თუ შეამოწმეს ექსპერტებმა სახანძრო უსაფრთხოების გეგმები, რადგან შენობაში დატვირთვა 30% - ით იზრდებოდა, ჰყავდათ თუ არა შრომისა და უსაფრთხოების ჯანმრთელობის სპეციალისტები, მინიმუმ 2 თანამშრომელი და შემუშავებული ჰქონდათ თუ არა ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების სტრატეგია და გეგმა. ასევე, ის დაინტერესდა სველი წერტილებისა და დამხმარე პერსონალის, დამლაგებლის კუთხით გაიცა თუ არა რჩევა, რადგან ზრდიან სტუდენტების რაოდენობას გათვალისწინებული ჰყავდათ თუ არა

დამატებითი პერსონალი და თუ ეყოფოდა სველი წერტილების რაოდენობა ამ რაოდენობის სტუდენტებს.

ექსპერტმა, ნინო ღაღანიძემ საბჭოს წევრს უპასუხა, რომ ნაწილი აღნიშნული დოკუმენტების იყო გადმოგზავნილი, მეორე ნაწილი კი მოთხოვნილი იყო ვიზიტისას, სადაც დაწესებულების წარმომადგენლებმა ისინი ოპერატიულად წარმოადგინეს. მისი განმარტებით, წარმოადგინეს ევაკუაციის გეგმა, დაამატეს ფართი, რომელიც გარემონტებულია. ექსპერტმა ხაზი გაუსვა იმ ფაქტს, რომ სტუდენტების რაოდენობის დამატება არ მოხდება ერთბაშად, ეს მოხდება ეტაპობრივად საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, მზად იყო სველი წერტილებიც და ჰყავდათ შრომის უსაფრთხოების სპეციალისტებიც, თუმცა აქ დასაზუსტებელია, რომ ერთი უსაფრთხოების თანამშრომელი ჩაწერილი იყო ტრენინგზე, უბრალოდ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო მას ჯერ არ ჰქონდა გავლილი აღნიშნული ტრენინგი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ ორივე თანამშრომელი რექტორის ბრძანებით იყო განსაზღვრული. ერთ - ერთმა მათგანმა ობიექტური მიზეზების გამო ვერ მოახერხა ტრენინგის გასვლა, თუმცა ის დარეგისტრირებულია და ამ თვის ბოლოს გამოცხადდებოდა ტრენინგზე.

საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა დღეის მდგომარეობით, რამდენი იყო დაწესებულების სასწავლო ფართი, რაზეც ექსპერტმა უპასუხა, რომ სასწავლო ფართი იყო 3 628,7 კვ.მ, სადაც გამიჯნულია აუდიტორული და კომპიუტერული ფართები. საბჭოს წევრი ასევე, დაინტერესდა დღევანდელი მდგომარეობით ვინ იყო აფილირებული აკადემიური პერსონალი, თუ აფილირებული პერსონალის უმრავლესობას არ ჰქონდა დოქტორანტის აკადემიური ხარისხი და თუ არ ჰქონდათ კვლევის გამოცდილება.

ექსპერტმა, ნინო ღაღანიძემ დააზუსტა, რომ დაწესებულებას ჰყავდა 45 აფილირებული აკადემიური პერსონალიდან, 4 - აფილირებული პროფესორი, 34 - აფილირებული - ასოცირებული პროფესორი და 7 - აფილირებული ასისტენტ - პროფესორი. რაც შეეხება აკადემიურ ხიყობს, მან განმარტა, რომ უნივერსიტეტი იყო ბიზნესისა და ტექნოლოგიების მიმართულების, სადაც შესაძლებელი იყო აკადემიურ თანამდებობაზე აყვანათ პროფესიული ნიშნის მიხედვით მრავალფეროვანი გამოცდილების მქონე პერსონალი. ასევე, მან აღნიშნა, რომ პროფესიიდან მოსული ადამიანებიც ნაწილობრივ ჩართულები იყვნენ კვლევაში, სადოქტორო პროგრამებთან მიმართებაში კი თქვა, რომ საქართველოსთვის ძალიან აქტუალურ თემაზე მიდიოდა კვლევა - განახლებადი ენერგიის თემა, რომელსაც ახორციელებდა კომპეტენტური პერსონალი.

საბჭოს წევრმა მარინა გედევანიშვილმა სთხოვა დაწესებულების წარმომადგენელს ესაუბრა იმ ფონდის შესახებ, რომელიც სამომავლოდ დააფინანსებდა კვლევებს, რასთან დაკავშირებითაც დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ფონდიდან გამოიყოფოდა ცალკე თანხა პროექტების დასაფინანსებლად, მათ შორის პერსონალის განსავითარებლად.

ექსპერტმა დაამატა, რომ აფილირებული პერსონალის წახალისების წესში ეწერა, რომ ფინანსური მხარდაჭერა შესაძლებელია, რასთან დაკავშირებითაც გაიცა რეკომენდაცია, რომ ფინანსური მხარდაჭერა აუცილებელი იყო და არა შესაძლებელი. დაწესებულების წარმომადგენელმა კი უპასუხა, რომ ცვლილება უკვე შევიდა შესაბამის რეგულაციაში.

საბჭოს წევრმა ლევან იმნაიშვილმა ვებ - გვერდზე განახლებადი ენერგიების ლაბორატორიების შესახებ ამოიკითხა, რომ ლაბორატორია იყო ერთგვარი ხიდი სამეცნიერო საქმიანობას, კერძო სექტორს, სახელმწიფო უწყებებსა და არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის იმ აქტუალურ საკითხებზე სამსჯელოდ, რაც გადამწყვეტი იყო დღევანდელი საქართველოსა თუ რეგიონის მოცემულობაში. ის დაინტერესდა ვინ ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას, რადგან როგორც მან გაიგო ლაბორატორია არ ეწეოდა სამეცნიერო საქმიანობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მაია ნონიაშვილმა, საბჭოს წევრს უპასუხა, რომ სამეცნიერო კვლევები მიმდინარეობდა სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ასევე, ჩართულები იყვნენ კერძო სექტორის ორგანიზაციები.

ექსპერტმა დამატებით განმარტა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ენერგიების ლაბორატორია, სადაც დასაქმებული იყო აკადემიური პერსონალი.

დაწესებულების წარმომადგენლის თქმით, ლაბორატორია აღჭურვილი იყო კომპიუტერული ტექნიკით, რაც საჭირო იყო კვლევის ჩასატარებლად. მისი თქმით, ეს იყოახალი დაწყებული პროექტი. ექსპერტმა კი დაამატა, რომ კომპიუტერებში ჩატვირთული იყო სპეციალური ძალიან ძვირადღირებული პროგრამები.

საბჭოს წევრმა ირაკლი ხვთისიაშვილმაც აღნიშნა, რომ ალბათ დაპროექტება ხდებოდა ამ პროგრამებით, სადაც თითო პროგრამა ღირდა დაახლოებით 100 000 დოლარი, რაც უნდა აღენიშნა დაწესებულების წარმომადგენელს. დაწესებულების წარმომადგენლის თქმით მათ 4 კომპიუტერი ჰქონდათ ნასასგან, რომელიც ალბათ შესაბამისი პარამეტრების იქნებოდა.

საბჭოს წევრი ლევან იმნაიშვილი შეეხო დმანისის პროექტსაც, ვებ - გვერდზე ეწერა, რომ პროექტის პირველი ნაწილი დასრულებული იყო და ზეზვასა და მზიას მულაჟის პრეზენტაცია, უკვე გაიმართა. გარდა ამისა პროექტის ფარგლებში იგეგმება აღმოჩენილი არტეფაქტების 3D მოდელების რეალურ გარემოში ინტეგრაცია. ის დაინტერესდა აღნიშნული რეალური გარემო იყო დმანისში თუ სადმე სხვაგან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მათ ჰქონდათ თანამშრომლობა ეროვნულ მუზეუმთან, კომპიუტერული ტექნოლოგია გადატანილია მუზეუმში, სადაც მოხდა შედეგების ვიზუალიზაცია.

საბჭოს წევრი ასევე, დაინტერესდა „ციფრული მოქალაქის“ პროექტით, რომელიც საშუალებას აძლევდა მომხმარებელს განცხადება შეეტანა ნებისმიერი ადგილიდან. ის დაინტერესდა იურიდიულად რამდენად სწორი იყო მობილური ტელეფონით (სმარტფონით) განცხადების ატვირთვა. საბჭოს იურისტმა წევრებმა განუმარტეს ლევან იმნაიშვილს, რომ ელექტრონული განცხადების შეტანა შესაძლებელი იყო, რაზეც საბჭოს წევრმა უპასუხა, რომ ისინი ადგენენ მექანიზმებს, რომელიც ვებ - გვერდზე გაწერილი არ იყო. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის პიარი ამას აუცილებლად გაითვალისწინებდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ექსპერტებს, მათი მოსაზრებით, უნივერსიტეტი შეძლებდა თუ არა გაეწიათ შესაბამისი სერვისის სტუდენტების გაზრდილ კონტიგენტს არსებული რესურსით.

ექსპერტმა, ნინო ბერიშვილმა განმარტა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ ის წინა ექსპერტთა ჯგუფის წევრიც იყო და იმყოფებოდა დაწესებულებაში, შეუძლია თქვას, რომ გაცილებით გაზრდილი იყო კომპიუტერების რაოდენობა, რომელიც მუშა მდგომარეობაში იყო და განთავსებული იყო აუდიტორიებში. ასევე, გარემონტებული იყო ბოლო სართული, დამატებული იყო 3 კომპიუტერული კლასი, რომლის შესაბამისი ტექნიკაც იყო შეძენილი. შესაბამისად, უნივერსიტეტი მზად იყო მატერიალური რესურსისა და ფართის კუთხით მიეღო გაზრდილი კონტიგენტი.

საბჭოს თავმჯდომარე დაინტერესდა თუ ჰქონდა დაწესებულებას კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიის დოკუმენტი და რა სამიზნე ნიშნულები ჰქონდათ მათ.

დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს თავმჯდომარეს უპასუხა, რომ მათ შემუშავებული ჰქონდათ და მოქმედებდა სტუდენტთა კონტიგენტის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომელიც ორ პრინციპზე იყო აგებული: სტატისტიკური მონაცემების დამუშავება და მათემატიკური მოდელირება, რომელიც უფრო საპროგნოზო იყო, რადგან საგანმანათლებლო პროგრამებს არ ჰქონდათ გავლილი სრული ციკლი, ვერ ადგენენ სტუდენტების შემოსვლის და გასვლის დინამიკას. ხოლო სტატისტიკურ მონაცემებს ამუშავებდნენ საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით, საიდანაც გამომდინარეობდა მატერიალური რესურსის ოდენობა, აღჭურვილობის სახეობა და ადამიანური რესურსები. მისი თქმით, აღნიშნული წესი ატვირთული იყო ბი თი უს (BTU) ვებ - გვერდზე და შესაბამისად მეთოდოლოგია მუშაობდა, ჰქონდათ სპეციალურად შემუშავებული ფორმებიც, სადაც აისახებოდა თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის დინამიკა: რამდენი სტუდენტი ჩაირიცხა, რამდენმა შეიჩერა სტატუსი, რამდენი სტუდენტი გადავიდა ან გადმოვიდა, როგორი იყო თითოეული ჯგუფის საშუალო აკადემიური ქულა. ყველაფერი ეს იყო დაგეგმვის ნაწილი. ასევე, მათ 4 აპრილსა და აგვისტოს თვეში შეაფასეს რა იქნებოდა პოტენციური სტუდენტების რაოდენობა.

საბჭოს თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულება სპეციფიკის მიხედვით ახორციელებდა ბიზნესის და ტექნოლოგიების საგანმანათლებლო პროგრამებს სხვადასხვა საფეხურზე. შესაბამისად, მან კიდევ ერთხელ სთხოვა ექსპერტებს დაეზუსტებინა უზრუნველყოფის შესახებ, რაც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად გადაადარეს თუ არა ლაბორატორიები, კომპიუტერული ტექნიკა რამდენად ეყოფოდა უნივერსიტეტს სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის შემთხვევაში, ლექციათა განრიგით უზრუნველყოფილი იქნებოდა თუ არა ყველანაირი სერვისი სტუდენტთა გაზრდილი რაოდენობისათვის.

ექსპერტებმა კიდევ ერთხელ დაზუსტა, რომ ერთ სართულზე უნივერსიტეტმა დაამატა სხვა აუდიტორიებთან ერთად, 3 კომპიუტერული კლასი, რომლის მატერიალური რესურსი შესყიდულია, დათვლილია გამტარუნიყვნეობაც და თითოეულ აუდიტორიაში გათვლილია არა უმეტეს 20 სტუდენტის რაოდენობა.

საბჭოს წევრი მარინა გედევანიშვილი დაინტერესდა რამდენი სტუდენტის მიღებას აპირებდნენ პირველ ეტაპზე, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ გამომდინარე იქიდან, რომ რექტორი არ იმყოფებოდა ადგილზე ზუსტ რაოდენობას ვერ დაასახელებდა, თუმცა არ გამოაცხადებენ იმაზე მეტ ადგილს, ვიდრე აცხადებდნენ წინა წლებში. მისი განმარტებით, კონტიგენტის განაცხადში იყო მოცემული კონტიგენტის მიღების რაოდენობა წლებისა და საგანმანათლებლო პროგრამების მიხედვით. მაგალითად, წინა წელს ბიზნეს ადმინისტრირების საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოცხადებული იყო - 470 ადგილი, ფინანსების საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების რაოდენობა შემცირდება, რადგან არ ივსება სრული რაოდენობა, აიტის საგანმანათლებლო პროგრამაზე იღებდნენ 400 სტუდენტს და 4 აპრილის შემდეგ დაადგინეს - 425 ადგილი.

საბჭოს წევრმა ლევან იმნაიშვილმა აღნიშნა, რომ ზოგადად აბიტურიენტის რაოდენობა მცირდება და რატომ ჰგონია დაწესებულებას, რომ მაინც და მაინც მათთან წავლენ ისინი, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ მათ ჰგონიათ, რომ მათთან მივლენ ის აბიტურიენტები, რომლებსაც ბი თი უში (BTU) უნდოდათ სწავლა. მან ბოლოს მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს წევრებს გაწეული შრომისათვის.

შესვენება გამოცხადდა: 18:59 საათზე
სხდომა განახლდა: 19:00 საათზე

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტისთვის სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის 5 000-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 10

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 33-ე მუხლის პირველი პუნქტის, ამავე მუხლის მეორე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 33¹ მუხლის მე-3 პუნქტისა და 34-ე მუხლის მე-9 პუნქტის შესაბამისად, შპს ბიზნესისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტს (საიდენტიფიკაციო კოდი: 405155638) სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 5 000-ით.

დღის წესრიგით, გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ საბჭოს სხდომა დასრულდა 19:01 საათზე.

თავმჯდომარე:

მარიამ დარბაიძე



მდივანი:

ნინო ხოლუაშვილი

